ალია

N154/3084/ 17-20 ოქტომბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა
სამშაბათი ალია
ოთხშაბათი ალია
ხუთშაბათი ალია
პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# როგორ გადაარჩინა პარლამენტმა 42000 მასწავლებელი სკოლებიდან გამოყრას

# კეზერაშვილის მერე დათა ახალაიაც პოლიტდევნილად იქცა!!!

## ვის მიჭირხვნის პრემიერი?



# დაპირისპირება „პიკასოს კლუბის“ ოფისში

## ვინ არიან და რა კავშირი აქვთ შსს-თან გაკელ „მაცკას“, ნახალოვკელ „ჭუპოს“ და ავლაბრელ ძმებ როინიშვილებს



# რა სამ პროვოკაციას ელოდება ანი ნადარეიშვილი ბაჩო ახალაიას პროცესზე



# რა შეცდომებია „პრავის“ ბილეთებში

## შსს-ს წარმომადგენლის პასუხი „ალიას“



## საბერძნეთის სასამართლომ დათა ახალაიას 100 ათასი ევრო უკან დაუბრუნა



თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას მეუღლის, ანი ნადარეიშვილის ინფორმაციით, ათენის სასამართლომ დათა ახალაიას 100 ათასი ევრო უკან დაუბრუნა.

„თბილისის ფორუმზე“ დიდი დისკუსია მიდის საბერძნეთის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. შეგნებულად ავრცელებენ დეზინფორმაციას, რომ დათა ახალაიას საბერძნეთის სასამართლომ დააკისრა 100 ათასი ევროს გადახდა, რაც არის მტკნარი სიცრუე!!! ხოლო ის 100 ათასი ევრო, რომელიც გირაოსთვის იყო შეტანილი, ათენის სასამართლომ დაუბრუნა შემომტანს უკან, ვინაიდან გირაოს პირობები დათა ახალაიას არ დაურღვევია და მთლიანი სასამართლო დავა დათა ახალაიას საქმეზე დამთავრდა! ასე, რომ ზღაპრის ბოლო კეთილია“, – წერა ნადარეიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

## თავდაცვის მინისტრ ალასანიას, პარტიის თავმჯდომარეობის უფლებაც აქვს

„ალიას“ 16 ოქტომბრის ნომერში გამოვაქვეყნეთ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის ინტერვიუ, სადაც საუბარი იყო იმაზე, თუ რატომ უბრუნდება თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია თავის პარტიას და ხელახლა ხდება თავმჯდომარე. საზოგადოებაში გაჩნდა შეკითხვა: აქვს თუ არა ალასანიას უფლება, როგორც ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი, იყოს თავდაცვის მინისტრი და ამავე დროს „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე?

„სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის“ დირექტორი, ვლადიმერ ბოჟაძე „ალიასთან“ საუბარში ამბობს, ეს საკითხი განმარტებულია, როგორც „საარჩევნო კოდექსში“, ასევე კანონში „პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების შესახებ“:

– ვინაიდან თავდაცვის მინისტრი არის სამოქალაქო პირი, მას ამისი პრობლემა არა აქვს. როდესაც ირაკლი ალასანია დაინიშნა მინისტრად, რამდენიმე თვის განმავლობაში იყო ასევე პარტიის თავმჯდომარე და შეეძლო, დღემდე ყოფილიყო, მაგრამ მაშინ წავიდა, ეს იყო ერთგვარი ჟესტი, პარტიას გაემიჯნა. სხვათა შორის, არც პარლამენტის თავმჯდომარეს, დათო უსუფაშვილს უშლიდა ვინმე, რომ „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე ყოფილიყო, მაგრამ ისიც წავიდა, თუ მოინდომებს, შეუძლია დაბრუნდეს.

– საინტერესოა, ასეთი თავისუფლება ვრცელდება ყველა მინისტრზე?

– კი, ვინაიდან ისინი არიან პოლიტიკური ფიგურები და სამოქალაქო პირები, ასეთი შეღავათი აქვთ, მაგრამ პოლიტიკური პარტიის წევრობა ეკრძალებათ დანარჩენებს, ანუ თავდაცვის სამინისტროში ყველას, ქვედა ეშელონებს, ანუ გენშტაბს და თანამშრომლებს. ასეთივე აკრძალვა მოქმედებს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც, მინისტრს აქვს უფლება, დანარჩენებს – არა. ასე რომ, ჭიკაიძესაც შეუძლია, შექმნას პარტია, ამას კანონი არ ზღუდავს.

კანონი პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების შესახებ მუხლი 10.

მოქალაქეს, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, დაინიშნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში სპეციალური უფლებამოსილებების მქონე მოსამსახურედ ანდა გამწესდება მოსამართლედ, ან პროკურორად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, შეუწყდება პარტიის წევრობა.

**გელა ზედელაშვილი**

## „რუსეთი თავის გეგმებს ასრულებს, ჩვენ კი მეორე ლოყას ვუშვერთ“



პარტია „საქართველოს გზის“ საპატიო თავჯდომარემ, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, სალომე ზურაბიშვილმა კარასინ-აბაშიძის შეხვედრა შეაფასა:

„რით დაიმსახურა თედო ჯაფარიძემ თქვენი უზრდელი საჯარო გამოსვლა? ერთხელ, სიმბოლურად, შეხვედრის გაუქმების მოწოდება რატომ არის ასე წარმოუდგენელი და მიუღებელი?.. შეიძლება დაეთანხმო ან არა (მაგრამ მაშინ ალტერნატიული ზომები უნდა მიუთითო. რასაც მივმართავდით ასეთ პროვოკაციულ ნაბიჯის საპასუხოდ), მაგრამ ესოდენ გაღიზიანებას არ იმსახურებდა გამოთქმული მოსაზრება! მეტადრე, რომ როგორც ჩანს, თქვენი და კარასინის შეუთანხმებლობა ამ საკითხზე დიდად არავის აღელვებს რუსეთსა თუ საქართველოში! და ამ დროს რუსეთი თავის გეგმებს ახორციელებს ნაბიჯ-ნაბიჯ და ჩვენ კი მეორე ლოყას ვუშვერთ!!!!.... ესეც პოლიტიკაა, მაგრამ ამ პოლიტიკას სახელიც აქვს – „დათმობის და შეგუებისა“!

ერთი რამეც არის, რუსეთი არასოდეს სცემს პატივს დაჩოქილს და უხერხემლოს...

ჩვენი პოლიტიკა რუსეთის მიმართ დღესაც არ შეცვლილა და ულატრენატივოა: არც უშედეგო დათმობა, არც უაზრო დაპირისპირება! მეზობლური ურთიერთობა არათანაბარ და დამამცირებელ პირობებში ვერ აეწყობა“! – წერს ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში. (რეპორტიორი)

## „მაქვს იდეა აფხაზებთან მიმართებაში“



პრემიერ-მინისტრს აფხაზ და ოს ხალხთან პრობლემის მოგვარების იდეა აქვს.

„მაქვს იდეა აფხაზებთან მიმართებაში, ვინაიდან ძალიან ბევრს ვფიქრობ მათ ბედსა და მომავალზე, როგორც ჩვენს მოძმე ერზე და ჩვენს ძმებზე. თუმცა მე მანამდე თავს შევიკავებდი ამ იდეის საჯაროდ გაჟღერებისგან, ვინაიდან ჯერ მსურს, რომ უსაფრთხოების ფორმატში მოხდეს ამ იდეის განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ, თუ საჭიროდ ჩავთვლით, გახდება საჯარო. განვიცდი ჩვენი ოსი და აფხაზი ძმების ყოფას და მდგომარეობას. ჩვენ მათზე ბევრს ვფიქრობთ და მე მინდა, რომ ყველაფერი ისე წარიმართოს, როგორც წაადგება ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (რეპორტიორი)



## ბერბუკის ქუჩაზე მოქალაქე გაძარცვეს




სპორტის სასახლის მიმდებარედ, ბერბუკის ქუჩა №8-ში, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოსთან მოქალაქე გაძარცვეს. შსს-ს განცხადებით, მოქალაქეს ხელჩანთა წაართვეს.

შსს-ვე ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძარცვას გულისხმობს. მომხდარის შედეგად მოქალაქე არ დაშავებულა.

## „გალფში“ ფასები კიდევ 3 თეთრით შემცირდება




კომპანია „გალფის“ ცნობი, 17 ოქტომბრიდან, „გალფში“ საწვავზე ფასები კიდევ 3 თეთრით შემცირდება, შესაბამისად, პრემიუმი 2,22 ლარი, ევრო რეგულარი – 2,14 ლარი და რეგულარი 2,04 ლარი ეღირება.

კომპანიის მენეჯმენტის განმარტებით, აღნიშნულ პროდუქტებზე ფასების შემცირების შესაძლებლობა საერთაშორისო ბაზარზე „პლაცზე“ ფასის კლებამ განაპირობა.

გარდა ამისა სპეციალურად „გალფ კლუბის“ წევრებისთვის, ნავთობკომპანიამ ცოტა ხნის წინ, გაზარდა ფასდაკლება **G-Force**-ის პროდუქტებზე და მომხმარებელს ბარათზე გაორმაგებული ქულების მიიღების საშუალება მისცა. როგორც კომპანიაში განმარტავენ, კლუბის წევრების მიმდინარე ფასდაკლება 2 თეთრით გაიზარდა, რაც ჯამში ყოველ ლიტრ საწვავზე 5 და 8 თეთრამდე ფასდაკლებას გულისხმობს. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთი აფხაზეთთან გასაფორმებელი შეთანხმების გადახედვას არ აპირებს




რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის განცხადებით, რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთთან გასაფორმებელი „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების“ გადახედვას არ აპირებს,

ვინაიდან ის აფხაზეთთან კიდევ უფრო მეტი თანამშრომლობის გზებს ეძებს. კარასინის თქმით, რუსეთის ხელისუფლების წრამომადგენლები განცვიფრებულები დარჩნენ იმ პოზიციით, რომელიც ჰქონდათ აფხაზეთში, ვინაიდან „ეს ხელშეკრულება არანაირად უქმნის პრობლემებს აფხაზეთის სუვერენიტეტს“.

რაც შეეხება ქართველი პოლიტიკოსების რეაქციას, კარასინი აცხადებს, რომ ამ რეაქციამ 2007-2008 წლები და ის რიტორიკა გაახსენა, რომელიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა და იმედი გაქმოთქვა, მსგავსი რიტორიკა შეიცვლება.

საქართველოს სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ეს იყო ყველაზე მწვავე და მძიმე საუბარი, რაც კი პრაღაში შემდგარა მასსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს შორის და მხარეების კარდინალურად განსხვავებული პოზიციების გამო, შეთანხმება მიღწეული ვერ იქნა.

მხარეები შემდეგი შეხვედრის თარიღზეც არ შეთანხმებულან. (ინტერპრესნიუსი)

## 75 წლის ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა




ქალაქ ოზურგეთში მცხოვრებმა ქალბატონმა, 75 წლის ნ. გ-ვამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ინციდენტი 16 ოქტომბერს ნ.გ-ვას ქალიშვილის სახლში მოხდა.

როგორც „გურიის მოამბე“ იუწყება, ქალბატონი ზამთრობით ხშირად მიდიოდა ქალიშვილთან, რომელიც ქალაქ გარდაბანში ცხოვრობს, ზამთრის დასრულების შემდეგ კი ისევ ოზურგეთში ბრუნდებოდა. ამჯერად გარდაბანში იგი თვითმკვლელობამდე ერთი თვით ადრე ჩავიდა.

მიცვალებული ოზურგეთში გაასვენეს და მას კვირას დაკრძალავენ. სუიციდის მიზეზი ამ დროისათვის უცნობია. (ინტერპრესნიუსი)

## „საქართველოში წვრთნებს ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები გაივლიან“



საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ საქართველოში საწრთვნელი ცენტრის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე განაცხადა:

„ნატო-საქართველოს პაკეტი, რომელიც უელსის სამიტის დროს მივიღეთ, ითვალისწინებს რამდენიმე ელემენტს და ერთ-ერთი ძირითადი, ბუნებრივია არის ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ცენტრი, ეს იქნება პრაქტიკულად, ერთობლივი ცენტრი, მაგრამ ეს იქნება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ინფრასტრუქტურა, სადაც როგორც ნატო-ს წევრი ქვეყნების, ასევე პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები გაივლიან წვრთნებს და მოხდება შეფასება, ანუ სერთიფიცირება. გარდა ამისა, იქმნება საქართველოს ასევე შეიარაღებული ძალების ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს საწვრთნელად ჩამოსული სამხედრო მოსამსახურეების საქართველოში განთავსებას და მათ გასვლას საქართველოდან. აქედან გამომდინარე, ეს იქნება მეორე ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ასეთი წვრთნების ჩატარებას. ამასთან ერთად, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ პერიოდულად საქართველოში ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები გაივლიან წვრთნებს და ამას ექნება რეგულარული ხასიათი“, – განაცხადა ალასანიამ და დასძინა, რომ ამ ყველაფრის განხორციელებაში ჩართული იქნებიან მაღალი სამხედრო თანამდებობის პირები რომლებიც, საქართველოში იქნებიან მოვლინებული.

მინისტრის განცხადებით, ეს საქართველოს გენერალურ შტაბში იქნება და ამ პაკეტს გაუწევს კონტროლს, რათა ყველაფერი სწორად და თავის ვადებში იყოს განხორციელებული. (ინტერპრესნიუსი)

საბერძნეთის სასამართლომ კუდ-ის ყოფილი უფროსის, დათა ახალაიას საქართველოში ექსტრადიციაზე უარი თქვა. შეგახსენებთ, რომ დათა ახალაია საბერძნეთში რამდენიმე თვის წინ დააკავეს. ის იტალიაში ყალბი საბუთებით გადასვლას ცდილობდა. ახალაიას გირაოს სახით 100 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა, გადახდის შემდეგ კი გაათავისუფლეს. მის წინააღმდეგ საქართველოში რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მათ შორის ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციისა და გირგვლიანის მკვლელობის საქმე.

– მოდი, პირდაპირ ვიტყვი, საბერძნეთში გაათავისუფლეს სანდრო გირგვლიანის მკვლელი, აღარაფერს ვამბობ სხვა სახის დანაშაულებზე. სხვათა შორის, საბერძნეთის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სტრასბურგის სასამართლოს დასკვნას, სადაც პირდაპირ წერია დათა ახალაიას გვარი და ცნობილია დამნაშავედ. როდესაც ასეთ სისხლისმსმელს ათავისუფლებ და კომენტარსაც ურთავ, საქმეები ძალიან კარგად არის მომზადებული. აქ იყო ვანო მერაბიშვილის საქმეც და დათა ახალაიას საქმეც. მე ამ ფრანგისგან ვიცი, რომ ამ მხრივ ჩვენი პროკურორები არ სცოდავენ, მაგრამ არსებობს ერთი პრობლემაც... როგორც ჩანს, არ არის რაღაც ნება.

**— რას გულისხმობ? იმათ ფული რომ აქვთ და ხარჯავენ, გავიგე, შენ რით უპირისპირდები? ყველა პროცესს იგებენ, სახელმწიფო ხარ თუ თავლა? შენც დაიქირავე, ფული შენს ხელშია, ამდენ სისულელეებში და პრემიებში რომ ხარჯავ!**

– რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს, ამ კუთხით ძალიან დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, საგარეო საკითხებში ბევრად უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ და ასევე სერიოზული პრობლემებია პიარის მხრივ.

**— ვიცით, რომ დამნაშავეები არიან და ვერ ვუმტკიცებთ, ეს ხომ ფაქტია?**

– ჩვენ კი ვიცით, მაგრამ ვერ გაგვაქვს უცხოეთში, ვერ გაგვაქვს დასავლეთში. საჭიროა ამათ დანაშაულებზე ახსნა-განმარტებები. დავით კეზერაშვილს საფრანგეთში ოფიციალურად აქვს 100 მილიონი ევრო. ეს ფული დამალული არ არის. მე რომ იქ ვყოფილიყავი, დავსვამდი კითხვას: საიდან ამდენი ფული, როცა კეზერაშვილი იყო ჯერ ფინანსური პოლიციის უფროსი, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრი? წესით, აქ სასამართლოც და მისი ადვოკატებიც ჩიხში უნდა შესულიყვნენ, მაგრამ ჩვენ მივიღეთ სხვანაირი შედეგი. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი სამუშაოა, ამ მხრივ.

**— ასეთი გადაწყვეტილებების შემდეგ სააკაშვილი რომ გამოვა და პირდაპირ ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებს თავის მომხრეებს, არავის აღარ უკვირს. ვერ იჭერ, ვერ ასამართლებ, დამნაშავე ვერ ჩამოგყავს საქართველოში, აბა, რის ხელისუფლება ხარ?**

– წავიკითხე სააკაშვილის წერილი, რომელიც არის მზადება სახელმწიფო გადატრიალებისთვის. ის მიმართავს თავის მომხრეებს, რომ მოემზადონ ხელისუფლების დამხობისთვის. ამას თან ერთვის ზურაბ ადეიშვილის წერილიც, სადაც იგივე სულისკვეთებაა, ეს ადამიანიც იგივე კონტექსტით ლაპარაკობს. როდესაც სააკაშვილი ამბობს, რომ „ქართული ოცნება" „მოქკავშირივით" გადაშენდება და დაემხობა ოლიგარქ ივანიშვილის მმართველობა, ეს არის მუქარა. დიახ, სააკაშვილი ემზადება გადატრიალებისთვის, მას აქვს მინიშნება ერთ რამეზეც – მის „ნაცბანდას" საქართველოში მხარს არ უჭერენ და ამიტომაც მიმართავს ვითომ მოსახლეობის ფენებს, იდეები და წინადადებები მომაწოდეთო. რეალურად აქ სხვა რამეშია საქმე, მას აქვს პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიების იმედი, რომელთა ყიდვასაც თავად აპირებს. მე ვიცი რამდენიმე ოპოზიციური პარტია, რომლებთანაც ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს „ნაცმოძრაობა". საკმაოდ დიდ თანხებს სთავაზობენ, რათა პირველ ეტაპზე შედგეს გარკვეული თემატური თანამშრომლობა. ამას არავინ არ უნდა შეხედოს მარტივად. დათა ახალაიას განთავისუფლებაც იგივე გეგმის ნაწილია. თუ ჩვენ ახლავე არ შემოვკარით განგაშის ზარი, გადაბრუნებული ურმის შემდეგ ლაპარაკი არაფერს გვარგებს. შინაგან საქმეთა მინისტრმა „ალიას" საშუალებით დროულად თქვა სიმართლე. ერთი პერიოდი საფრთხე ავიცილეთ, ის ადამიანები, რომლებიც შეტევაზე გადმოსვლას გეგმავდნენ, ცოტა ხნით განეიტრალდნენ. აი, ახლა ისევ წამოყვეს თავები. საჭიროა ამათი მხილება, ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიმიჯნონ ერთმანეთისგან ოპოზიცია და სახელმწიფოს მტრები. თუ ეს ავაზაკები იქნებიან ცხვრების ქურქებში გახვეულები, რა თქმა უნდა, ჩვენ წინ დიდი საშიშროება გველოდება.

**— კი, ბატონო, აჰა, შემოვკრათ განგაშის ზარი, მაგრამ ხელისუფლება დამნაშავეებს ვერ უმტკიცებს ვერაფერს, ერთი და იგივე რამდენჯერ უნდა გავიმეოროთ? რაღაც რომ მოხდეს, მერე რას იტყვით, რა ვქნათ, მაგათ ლობისტები ჰყავდათ და ამიტომ დავმარცხდითო?**

– არა, ასე არ უნდა ვთქვათ და საქმეც არ უნდა მივიყვანოთ აქამდე. მე ვამბობ ერთ რამეს, სამართალდამცავები მუშაობენ ნორმალურად და დემოკრატიის პრინციპების დაცვით. აქ მთავარია პიარი, რომელიც გვაქვს ასაწყობი, თითქმის არ არსებობს. იმისთვის, რომ შენი გადაწყვეტილება გაიტანო, საჭიროა მისი კარგად შეფუთვა. ასევე საჭიროა ნიადაგის მომზადება.

**— ჰოდა, ეტყობა, ამ ბრალდებებსაც ვერ ფუთავს პროკურატურა ნორმალურად და ამიტომაცაა, რომ ვერავის ვერაფერს უმტკიცებს.**

– კი, შეიძლება სამართლებრივად ყველაფერი ნორმალურად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ არ არის შეფუთული. ამ საქმეს სჭირდება სპეციფიკური პროფესიონალები. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც ისეთ პასუხისმგებლობას იღებენ ხოლმე საკუთარ თავზე, რომლის აწევაც მათ არ შეუძლიათ. ამიტომ მეტი ძალისხმევა და პროფესიონალიზმია საჭირო, რომ ეს პრობლემები დავძლიოთ.

# კეზერაშვილის მერე დათა ახალაიაც პოლიტდევნილად იქცა!!!

## ვის მიჭირხვნის პრემიერი?

**რასთან გვაქვს საქმე, იგივე სცენართან, რაც გაითამაშეს დავით კეზერაშვილის საქმეზე საფრანგეთში? ამ შემთხვევაშიც უნდა ვამტკიცოთ, რომ დათა ახალაიას გაცილებით ჭკვიანი და ძვირადღირებული ადვოკატები ჰყავდა დაქირავებული და ჩვენი პროკურორები ისევ ჩაფლავდნენ?**

**„ალიას" სახელმწიფო მინისტრის მოადგილე დიასპორის საკითხებში, სანდრო ბრეგაძე ესაუბრება:**



**— სანდრო, შენ ისეთ სამინისტროში მუშაობ, უნდა გქონდეს ინფორმაცია, რა მოხდა სინამდვილეში საბერძნეთში ახალაიას პროცესზე, როლანდ ახალაიამ თქვა, დათა იმიტომ გაამართლეს, რომ ჭიკაიძემ ყალბი დოკუმენტები გაუგზავნა სასამართლოსო.**

– მე მომაწოდეს საბერძნეთიდან ინფორმაცია, რომ „ნაციონალებმა" თავიანთი დესანტი არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დღეს გადასხეს, არამედ მანამდეც ხშირად დაბრძანდებოდნენ ამ ქვეყანაში და ეძებდნენ კორუფციულ ხვრელებს. ჩვენ ტელევიზიით ვნახეთ აკო მინაშვილი, ასევე როლანდ ახალაია, ეს უკანასკნელი კიდევ შეიძლებოდა, მამაა. იქ ასევე ჩასულები იყვნენ სხვებიც, რომლებიც ეკრანზე არ გამოჩენილან. ვიმეორებ, „ნაციონალები" საბერძნეთშიც კორუფციული სქემებით მოქმედებენ და როგორც ვხედავთ, გაიტანეს თავიანთი.

**— შეიძლება, რომ ამათ საბერძნეთის სასამართლოც მოესყიდათ?**

– მე ვერავის პატიოსნებაზე ვერ დავდებ თავს. თუკი ადამიანი მოინდომებს, ყველგან ყველაფერია შესაძლებელი, ფული ჯოჯოხეთსაც ანათებს. „ნაციონალებს" თავიანთი მსგავსები ყველგან ჰყავთ. ეგენი ყველგან იმდენ ფულს ყრიან, ჩვენ რომ ვერც წარმოვიდგენთ.

**— სანდრო, ამ შემთხვევაშიც იგივე მოხდა, რაც კეზერაშვილთან დაკავშირებით?**

რომ მას დევნიან პოლიტიკურად, ესეც დიდი დანაშაულია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ახალაიებმა კარგად იხეირეს და ასეულობით მილიონი დოლარი გაიტანეს საქართველოდან. ეს ფული მუშაობს გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებაში, დაქირავებული ჰყავთ ძალიან სერიოზული ლობისტები და ადვოკატები, რათა თავი გადაირჩინონ.

**— სანდრო, ერთ მხარეს დგას სახელმწიფო, მეორე მხარეს დგანან ფულით გატენილი ტიპები, რომლებმაც დედა უტირეს საქართველოს. დათა ახალაიამ 100 ათასი ევრო გადაიხადა. იგივე სახელმწიფოს არ უნდა ჰყავდეს მაღალი კლასის პროკურორები? რატომ ვამბობთ მუდმივად, რომ მათ ჰყავთ ასეთი ადვოკატები და ყველა პროცესს იგებენ?**

– საიდან გადაიხადა 100 ათასი ევრო დათა ახალაიამ? მას ხელფასი ჰქონდა 3 ათასი ლარი. ამას დაუმატეთ დაქირავებული ადვოკატების გასამრჯელო, ისინი მილიონებს იღებენ. რასაც შენ ამბობ, აი, ეს არის ყველაზე ცუდი. სხვათა შორის, მე ერთ ახლობელ იურისტს საფრანგეთში გადავუგზავნე რამდენიმე მაღალჩინოსნის საქმე და მან თქვა, რომ ეს

**გელა ზედელაშვილი**
**555 48-48-61**

**უკვე ამაზრზენია იმის ყურება, როგორ იმსხვრევა ამომრჩევლის ოცნებები. კეზერაშვილმა რომ პროცესი მოიგო და ამისთვის არავინ დაისაჯა, ამიტომაც გათავხედდნენ სააკაშვილი და „ნაცბანდა", ამიტომაც გახდა დათა ახალაია პოლიტდევნილი. ისხედით ახლა და იოცნებეთ. თქვენი უნიათობის გამო უკვე ისეთებიც აყეფდნენ, კრინტის დაძვრა რომ ვერ უნდა გაებედათ.**

**ოცნებას კაცი არ მოუკლავს, მაგრამ კოალიცია „ქართულ ოცნებას" კი გაანადგურებს, რადგან პრემიები გინდათ, მუშაობა — არა.**

**კეზერაშვილის პროცესის გამო რომ არავინ დაისაჯა, ამიტომ ვიხილეთ საბერძნეთში გახარებული და გაბადრული მამა-შვილი ახალაიები. დროა, დრო კი არა, უკვე დაგვიანებულიცაა, რომ პრემიერმა ე.წ. საბოტაჟნიკები გამოავლინოს და სამაგალითოდ დასაჯოს. კმარა, მისაჭირხვნი უნდა მიიჭირხვნოს, თუ არა და ხალხის დამსხვრეული ოცნებების ნატეხები წაგლეკავთ, ოცნებადამსხვრეული და იმედმოკლული ადამიანები თქვენც გაგისტუმრებენ პოლიტიკურ სანაგვეზე.**

**ვნახოთ, ვის დასჯის, ვის მიჭირხვნის პრემიერი.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### საბერძნეთმა დათა ახალაიას ექსტრადიციაზე უარი თქვა



საბერძნეთის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ დეპუტატი როლანდ ახალაია, სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას აფასებს:

„ყველა დოკუმენტი, რაც კი გამოიგზავნა საქართველოდან, იყო ყალბი. იქამდეც კი მივიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, რომ მან ყალბი დოკუმენტი გამოგზავნა, რათა შეცდომაში შეეყვანა საბერძნეთის სასამართლო, მაგრამ, საბედნიეროდ, სასამართლომ მიიღო სწორი და მართებული გადაწყვეტილება", – განაცხადა როლანდ ახალაიამ.

კომენტარს აკეთებს დათა ახალაიაც:

„კიდევ ერთმა ევროპულმა სასამართლომ დაამტკიცა, რომ საქართველოში არის პოლიტიკური დევნა, ადამიანებს უთითხნიან რაღაცებს და მთელი ევროპა არის გაკვირვებული იმ ცირკით, რაც საქართველოში ხდება", – განაცხადა ახალაიამ.

საქართველოს მთავარ პროკურატურას კუდ-ის ყოფილი უფროსის, დათა ახალაიას ექსტრადიციის საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შესახებ საბერძნეთის მხარისგან ოფიციალური წერილი ჯერ არ მიუღია. ამის შესახებ პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა, ნათია სუხიაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, უწყებისთვის უცნობია, რა საფუძვლები დაედო დათა ახალაიას ექსტრადიციაზე უარის შესახებ საბერძნეთის სასამართლოს გადაწყვეტილებას. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### დიდუბის ბაზრის მოვაჭრეებმა მერიასთან აქცია გამართეს



დედაქალაქის მერიასთან აქცია გამართეს დიდუბის ბაზრის მოვაჭრეებმა. მათი განმარტებით, ბაზრის მფლობელებს შორის არსებული დაპირისპირების გამო, ისინი ვერ ახერხებენ ვაჭრობას და ზარალს განიცდიან. ისინი მეტროს მხრიდან კარების გაღებას და ბაზრის ტერიტორიისთვის ღობის მოხსნას ითხოვენ.

აქციის მონაწილეებთან ერთად იმყოფებოდა დიდუბის რაიონის გამგებელი ირმა ზავრადაშვილი. მისი განცხადებით, ბაზრის მოვაჭრეები გახდნენ ორი კერძო მესაკუთრის დავის მსხვერპლი, რომლებმაც ვერ გაიყვეს ბაზრის ტერიტორია. მისი განცხადებით, მერია და რაიონის ხელმძღვანელობა ეცდება, კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს დიალოგი ბაზრის მეპატრონეებთან.

აქციის მონაწილეები, პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში, განმეორებითი და ფართომასშტაბიანი გამოსვლებით იმუქრებიან (ნიუპოსტი)

# რა სამ პროვოკაციას ელოდება ანი ნადარეიშვილი ბაჩო ახალაიას პროცესზე

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი ხელისუფლების მხრიდან დაგეგმილ პროვოკაციაზე საუბრობს. „ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ 17 ოქტომბერს იგეგმება პროვოკაცია ხელისუფლების მხრიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან, რომელშიც მონაწილეობენ ასევე ირმა ინაშვილები, ტრისტან წითელაშვილები და ძმანი მისნი. ჩვენ არ ვაპირებთ არანაირ პროვოკაციაზე წამოგებას. სასამართლოზე ზეწოლას და თავდასხმას ადამიანებზე შეეშვან".



**„ალიას" ანი ნადარეიშვილი ესაუბრა:**

**— რა პროვოკაციაზე საუბრობთ?**

– სასამართლოზე ზეწოლის სურვილით აპირებენ პროვოკაციების მოწყობას, ამიტომ არის დაგეგმილი ეს ყველაფერი საქალაქო სასამართლოს ეზოში. ახლა იკითხავთ, საიდან გაქვთ ეს ინფორმაციაო და გიპასუხებთ, ხომ იცით, საქართველო რა პატარაა, ყველა ყველას იცნობს, მეც მყავს მეგობრები „შიგნით", სწორედ კეთილისმსურველებმა მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ხელისუფლების მხრიდან იგეგმება პროვოკაცია. რატომ ვადანაშაულებ ხელისუფლებას? მაგალითად, წულუკიანი ამბობს, რომ უნდა ვებრძოლოთ „ნაციონალებს" და ეს არის მთელი ჩემი ცხოვრების მიზანიო. ჭიკაიძემ რამდენჯერმე გააკეთა განცხადება, რომ „ნაციონალური მოძრაობა" გეგმავს გადატრიალებას და ხან ბორბლების შეგროვებას იწყებს, ხან რას და ხან რას. მას ჰქონდა არასამთავრობოების მთელი ჩამონათვალი, თუნდაც ის, რომ 315-ე მუხლით გამოძიება დაწყებულია. ეს ყველაფერი მაძლევს ისმის საფუძველს, რომ თვითონ ხელისუფლება და პრემიერ-მინისტრი ვერ განახორციელებს ვერაფერს, თვითონ ვერ მოვა სიტუაციის ასარევად. თუ ხელისუფლება ვერ დაიკავებს ხელკეტს, მათ ჰყავთ დაქირავებული, დაზომბირებული მხარდამჭერები, რომლებიც კრიმინალურ ბანდას წარმოადგენენ. მათ დაატარებენ ხან „ნაციონალური მოძრაობის" ოფისის წინ, ხან არასამთავრობო ორგანიზაციების წინ... ეს მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ გავაკეთო ასეთი პროვოკაციების შესახებ განცხადება. თავად ხელისუფლება რომ ცდილობს, წაახალისოს პროვოკატორები, ასეთი რამ არ გაგონილა მსოფლიოში.

**— ირმა ინაშვილი, წითელაშვილი, კიდევ ვინ არიან? რატომ ფიქრობთ, რომ ირმა ინაშვილი ხელისუფლების დავალებას შეასრულებს და მისი ხელით განახორციელებს პროვოკაციებს?**

– მე ზუსტად არ ვიცი, იქ ვინ მოვა, მაგრამ ის კი ვიცი იმ ადამიანისგან, ვინც მე მომაწოდა ინფორმაცია, რომ ირმა ინაშვილი მის გუნდთან ერთად მუშაობს სასამართლოს ეზოში ხალხის მოყვანაზე.

**— წითელაშვილს რა ფუნქცია აქვს?**

– საქმე ისაა, რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიქნები გადაკიდებული ყველა მოღალატესთან და ჯაშუშთან, კრემლის აგენტების წინააღმდეგ მთელი ჩემი ცხოვრება ვიბრძოლებ. მე მეტი მასთან არაფერი მაქვს გადასაკიდებელი. რაც შეეხება მის გამოჩენას, როგორც უკრაინაში „ტიტუშკებს" ეძახდნენ ადამიანებს, იქ რომ არეულობა მოეწყოთ და პროვოკაციები მოეწყოთ, მე ამათ ტრისტან წითელაშვილებს ვეძახი. პიროვნულად მოვა თუ არა, ამას არ აქვს მნიშვნელობა, მისნაირები მოვლენ, თუმცა ტრისტან წითელაშვილი ყველგან არის და ყველგან ურევს სიტუაციას.

**— დაახლოებით თუ იცით, რა პროვოკაციას მოგიწყობენ, რა მოხდება?**

– პირველ რიგში ვამბობ იმას, რომ სხვადასხვა ინსტანციებით ბაჩო ახალაია არის გამართლებული, მაგრამ ამის მიუხედავად არის წინასწარ პატიმრობაში. ევრორეზოლუციის რეკომენდაცია იყო ხელისუფლებისთვის სილის გაწვნა და ძალიან არ ესიამოვნა მათ. ზუსტად ვიცი, რომ დიდი ზეწოლა მიმდინარეობს სასამართლოზე, რომ ერთი განაჩენი მაინც დადგეს გამამტყუნებელი, რომ ეს პერიოდი არ ჩაითვალოს ბაჩო მძევლად.

დიახ, იგეგმება დაცვის სიტყვა და მერე მოსამართლე გავა განაჩენზე. ზეწოლა იქნება ხელისუფლების მხრიდან ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან ამ რეზოლუციის ტექსტს სჭირდება გაპრავება. ყველა ხერხით ცდილობენ, აამუშაონ „სუს"-ი, მოახდინონ მოსამართლეზე ზეწოლა, პრემიერ-მინისტრიც აგვარებს მოსამართლე ახვლედიანთან ამ საკითხებს, მოყრიან „ტიტუშკებს" და ყველაფერი მოხდება იმის გამო, რომ მოსამართლე შეაშინონ. მათ მიახვედრებენ, რომ ხვალზეგ მათ დახვდებიან სადარბაზოსთან და გაუსწორდებიან.

უკვე აგონიაშია ხელისუფლება. როცა პანიკაშია ადამიანი, ვერ საზღვრავს, რას აკეთებს. იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც არანაირი სამართლებრივი გადაცდომა არ აქვთ, მხოლოდ იმის გამო, რომ პუტინს აგინეს, მის ლიკვიდაციას ითხოვ, შეუვარდები და სცემ მათ, ეს ხომ ისტერიკაა. ეს ხომ არაა ტრისტანის და სადღობელაშვილის გადაწყვეტილი? ეს არის „ზემოდან" წამოსული, ვინც ავალებს მათ ამის გაკეთებას. რაც მეტ შეცდომას დაუშვებენ, მეტ პანიკაში ჩავარდებიან.

**— რა მიზანზეა გათვლილი პროვოკაცია?**

– ჩვენი მწყობრიდან გამოყვანა უნდათ. არ წამოვეგები პროვოკაციებს. ადამიანებს, რომლებიც ხელკეტებით ურტყამენ ადამიანებს, ამას არასდროს გავამართლებ, ჩხუბი რომ ატყდეს და დაძაბულობა შეიქმნას, მე არ გავერიდები სიტუაციას. პირველი დღიდან ვამბობდი, ნებისმიერ ფორმატში, ქუჩა იქნება ეს თუ ტელევიზია, ნებისმიერ კითხვას გავცემ პასუხს. ყველაზე მეტად შეურაცხმყოფელი არის ის, როცა მკვლელებს გვეძახის სადღობელაშვილი, მაქვს ერთი კითხვა, ვინ მოვკალით? ასეთ შეძახილებს სულ გავცემ პასუხს, ოღონდ კორექტულად, არა ისე, როგორც ისინი იქცევიან. საიდან მოდის ეს ყველაფერი? უნდათ, გაგვამწარონ, წამოგვაგონ, არავის ვემალები, ვიქნები იქ, სადაც არიან ისინი, თუ რამე კითხვა აქვთ, ვუპასუხებ და სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ხელისუფლებამ ორ ნაწილად გახლიჩა ერი. ამ დაძაბულობის ინიციატორად მივიჩნევ, ხელს ვადებ პირდაპირ ხელისუფლებას, მან ისე დაატაკა ერი ერთმანეთს, როგორც 90-იან წლებში.

**ნადარეიშვილის ბრალდებებთან დაკავშირებით, „ალია" ირმა ინაშვილთან დაკავშირებას შეეცადა, მაგრამ მან ჯერ ზარებს არ უპასუხა, შემდეგ კი ტელეფონი გათიშა. სამაგიეროდ, გვიპასუხა ტრისტან წითელაშვილმა:**

**— ბატონო ტრისტან, ანი ნადარეიშვილი ამბობს, რომ საქალაქო სასამართლოსთან პროვოკაციების მოსაწყობად მიდიხართ...**

– გამორიცხულია, ავადმყოფია ეგ ქალი, უკვე საზღვრებს გადავიდა. ირმა ინაშვილთან ერთად არაფერს არ ვგეგმავ, დიდ პატივს ვცემ მას, მაგრამ ეს ასე არაა. მეტსაც გეტყვი, თბილისში არ ვარ, კახეთში ვარ და ჩამოსვლას არც ვაპირებ. ეს სისულელეა და რჩევას მივცემ ანი ნადარეიშვილის პატრონს, წაიყვანონ ეგ ქალი სამკურნალოდ, სულ წითელაშვილი რომ ელანდება, მედიცინა უძლურია მის წინაშე თუ რა ხდება? არანაირი აქცია არ გვაქვს დაგეგმილი, არც კი დავკონტაქტებივარ ამაზე ირმას.

**ინაშვილისგან პასუხი ვერ მოვისმინეთ, წითელაშვილი აქციაზე მისვლას არ აპირებს. იმის მოლოდინში, რომ ბაჩო ახალაია შეიძლება სასამართლომ გაამართლოს, ვინ შეიძლება ვიხილოთ სასამართლოს ეზოში?**

**„ალია" ბოლო ხანს, „ნაციონალების" წინააღმდეგ მოწყობილი აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორს ლადო სადღობელაშვილსაც დაუკავშირდა: ძალიან მიკვირს ასეთი კარგი მამის შვილი, როგორიც ანი ნადარეიშვილია, როგორ იქცა „ზონდერის" მეუღლედ და იდეურ მხარდამჭერად. ჩვენ როცა რამეს ვგეგმავთ, ყოველთვის ვაანონსებთ წინასწარ. არ ვაპირებთ იქ მისვლას ნამდვილად და არც ინფორმაცია მაქვს, ვინ აპირებს მისვლას.**

**მოკლედ, ყველა უარზეა და ამიტომ, სასამართლო პროცესის მსვლელობისას გაირკვევა, ვის ვიხილავთ საქალაქო სასამართლოს ეზოში.**

**P.S. გვიან საღამოს ირმა ინაშვილმა განცხადება გაავრცელა, სადაც ამბობს: „ბოლოს და ბოლოს გაიგეთ, შეიგნეთ და გაითავისეთ, რომ მე წარმოვადგენ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს", ვარ ამ პოლიტიკური გაერთიანების გენერალური მდივანი. აქციას, შეკრებას, მანიფესტაციას იქ მოვაწყობ, იმ თემებზე მოვაწყობ და იმ დროს მოვაწყობ, როცა ჩემს პოლიტიკურ გუნდსა და მხარდამჭერებთან ერთად კონკრეტულ მოქმედებებს დავგეგმავ... როცა ამას საჭიროდ ჩავთვლით. ცხადია, ჩვენი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და არა ამ ინტერესების საზიანოდ!.. არავითარი კავშირი ჩვენს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებთან (იქნება ეს აქცია, თუ კონფერენცია) არ აქვს ბატონ ტრისტან წითელაშვილს, რომელსაც მრავალი წელია ვიცნობ, ვიცნობ ჯერ კიდევ აფხაზეთის ომიდან... მაგრამ ტრისტან წითელაშვილი არაა ჩვენი პარტიის, ჩვენი გუნდის წევრი, მას აქვს საკუთარი მოქმედების გეგმა, ხედვა და პრინციპები. ასევე, ჩემს მიერ დაგეგმილ, თუ მომავალში განსახორციელებლ ამოცანებთან არავითარი კავშირი არა აქვს „თავისუფალ თაობას", რომლის ლიდერსაც, ლადო სადღობელაშვილს ვიცნობ სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლის პერიოდიდან. ესაა დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაცია, მოქმედებს მისი ორგანიზაციის წესდებისა და პრინციპების შესაბამისად. ამიტომ „ნაციონალურ მოძრაობას" და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ახალაიას მეუღლეს, ქალბატონ ანი ნადარეიშვილს ვურჩევ: თავი შეიკავოს დეზინფორმაციის გავრცელებისა და ცილისწამებისაგან. დეზინფორმაციის გავრცელება ვერავის ვერ იხსნის პასუხისმგებლობისაგან. მკვლელები და მწამებლები იქნებიან დასჯილნი! შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვის უფლებას მე და ნესმიერ სხვა მოქალაქეს გვანიჭებს კონსტიტუცია. არავინ დგას კონსტიტუციაზე მაღლა!"**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პარლამენტის შენობის განახლების ხარჯებმა 22 732 346 ლარი შეადგინა



ქალაქ თბილისის პარლამენტის შენობის განახლებასა და მოწყობაზე გაწეულმა ხარჯებმა სულ 22 732 346 ლარი შეადგინა.

აღნიშნული თანხიდან პარლამენტის შენობის განახლებასა და მოწყობასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების უდიდესი ნაწილი პარლამენტის აპარატმა გამარტივებული შესყიდვის (ერთ პირთან მოლაპარაკების) გზით განახორციელა, რაზეც 16 479 613 ლარი გაიხარჯა. ორგანიზაცია **IDFI**-ის ინფორმაციით, ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდა 5 656 468 ლარის ღირებულების შესყიდვა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით – 410 265 ლარის შესყიდვა, ხოლო კონკურსის გზით – 186 000 ლარის შესყიდვა.

რაიმე სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ პარლამენტის პლენარული სხდომები თბილისში უნდა ჩატარდეს, დღემდე არ არსებობს. შესაბამისად, ჩნდება კითხვები პლენარული სხდომის დარბაზისთვის ძვირადღირებული მოწყობილობების შესყიდვის აუცილებლობასთან დაკავშირებით, იმ პირობებში როდესაც არ არსებობს მტკიცე სამართლებრივი საფუძვლები პარლამენტის თბილისში სრულყოფილი მუშაობისა. (ნიუპოსტი)

## „Facebook"-ი მიწისძვრისა და ხანძრის დროს დაგეხმარებათ




სოციალურ ქსელ „ფეისბუკს" ახალი ფუნქცია, **Safety Check** დაემატა. სერვისის გამოყენება მომხმარებელს კრიტიკული ვითარების დროს, მაგალითად, მიწისძვრის ან ხანძრის შემდეგ შეეძლება.

სერვისის მეშვეობით **Facebook**-ის მომხმარებელი საკუთარ მეგობრებსა და ნათესავებს შეატყობინებს, რომ ის უსაფრთხოდ არის, ანალოგიურად მომხმარებელს სხვა მეგობრების მონიშვნა და მათი მდგომარეობის შეტყობაც შეეძლება.

**Facebook**-მა მსგავსი სერვისის ამოქმედების იდეა 2011 წელს იაპონიაში მომხდარი მიწისძვრისა და ცუნამის შემდეგ სოციალურ ქსელებში გაჩენილი „პოსტებისა" განხილვის შემდეგ გადაწყვიტა. სტიქიის ზონაში მცხოვრები 12 მილიონი ადამიანი საკუთარ მეგობრებსა და ნათესავებს სოციალური ქსელების მეშვეობით ეძებდნენ, მათი უმთავრესი კითხვა კი მხოლოდ რამდენიმე სიტყვისგან შედგებოდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ტოქსიკოლოგები მოსახლეობას მოუწოდებენ, თავი შეიკავონ ტყის სოკოს მიღებისგან



ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა ექსპერტ-ტოქსიკოლოგის ოთარ რუსაძის განაცხადებით, ბოლო კვირის განმავლობაში იაშვილის კლინიკაში სოკოთი ინტოქსიკაციასთან დაკავშირებით მიმართვიანობა საგრძნობლად გაიზარდა.

რუსაძე მოსახლეობას მიმართავს, რომ ბავშვებს სოკო არ აჭამონ. მისი განცხადებით, სოკო ბავშვებისთვის ჯანსაღ მდგომარეობაშიც ერთ-ერთი რთულად მოსანელებელი პროდუქტია. როგორც რუსაძემ აღნიშნა, დიდი რაოდენობით არც სათბურში გამოყვანილი შამპინიონის მიღება არ შეიძლება. მისი ინფორმაციით, ზოგადად სოკოთი დანაყრებაც არ არის რეკომენდებული.

იაშვილის კლინიკაში სოკოთი ინტოქსიკაციის შედეგად ხუთი წლის ბავშვი გარდაიცვალა. კლინიკაში ამ დრომდე სოკოთი მოწამლული 3 პაციენტი მკურნალობს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# როგორ გადაარჩინა პარლამენტმა 42000 მასწავლებელი სკოლებიდან გამოყრას

**განათლების ექსპერტების თქმით, პარლამენტსა და სამინისტროს შორის, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების გამო, პრაქტიკულად, ჩიხური სიტუაცია შეიქმნა. სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არ მაგონდება სხვა შემთხვევა, რაზეც საქართველოს პარლამენტს ასეთი ერთსულოვანი წინააღმდეგობა გაეწიოს განსახილველი პროექტისთვის. კანონი უკვე სამჯერ გავიდა ბიუროს სხდომაზე, ასევე სამჯერ — კომიტეტის სხდომაზე, ჩვენთვის რამდენადაც ცნობილია, პარასკევს კიდევ ერთი სხდომაა დანიშნული. რა გზა არსებობს ჩიხიდან გამოსასვლელად?**

**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი განათლების საკითხებში, მანანა ნიკოლაიშვილი:**



— ეს საკითხი გავიდა პარლამენტის სხდომაზეც, მაგრამ ჩავარდა და უმრავლესობის ლიდერმა, ბატონმა საგანელიძემ ბრძანა, რომ გარკვეული დრო ავიღოთ, რათა შევიდეს კანონპროექტში ცვლილებები და მერე ვუყაროთ კენჭიო. აქვე ვეტყვი უმრავლესობასა და მათ ლიდერ დავით საგანელიძეს, რომ არავითარი ერთკვირიანი და ორკვირიანი, თუ გინდათ, ერთთვიანი მუშაობა ამ საქმეს არ უშველის. რადგანაც პრინციპულ და მთავარ საკითხებზე მიდის დავა და, თუკი იმის შეცვლაზეა საუბარი, რაც პარლამენტმა დაიწუნა, ასე სწრაფად ეს არ მოხდება. მე გაოცებული ვარ, რადგანაც ორი წელია, მოსულია „ქართული ოცნება“ და მაინტერესებს, საერთოდ რატომ არ დადგა დღის წესრიგში ამ კანონის მთლიანად შეცვლის საკითხი? ვინ უთხრა, ამ ხალხს, რომ სააკაშვილის დანაშაულებრივი კანონით უნდა ემართათ ზოგადი განათლების სფერო, გინდ სახელმწიფო სექტორი და გინდაც კერძო სექტორი? საერთოდ, განათლების მიმართულების ყველა კანონი იყო შესაცვლელი: სასკოლოც, პროფესიულიც, უმაღლესიც და კანონი მეცნიერების შესახებაც.

**— კი მაგრამ, ახლა ხომაა მცდელობა, რომ ძალიან დიდი ნაწილი ამ კანონისა შეიცვალოს, რაც არ გამოდის?**

— და არც უნდა გამოვიდეს. ანუ ამ ჩიხიდან არის ერთადერთი გამოსავალი, რასაც ბატონი ვანო კილურაძე აცხადებს და სრულიად ვეთანხმები: სააკაშვილის კანონში ჩადებულია, რომ 2014 წლის 31 დეკემბერს მასწავლებლობის უფლება ერთმევა მოქმედ მასწავლებელსაც და არამოქმედსაც. აქვე უნდა შევახსენო საზოგადოებას, რომ სააკაშვილს ჯერ კიდევ 2009 წელს უნდოდა, გაეყარა სკოლებიდან 80 000 მასწავლებელი, მერე ვიბრძოლეთ ჩვენ და „ქართულმა აკადემიამ“ ვანო კილურაძის მეთაურობით, ეს არ დავანებეთ. ჩვენი ამ ბრძოლის შედეგად 4-ჯერ შევიდა კანონში ცვლილება და თარიღმა გადაიწია 2014 წლის 31 დეკემბრამდე. ანუ 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ხელფასი აღარ გამოეწერებათ მასწავლებლებს და ყველას, ვისაც პედაგოგიური დიპლომის სტატუსი აქვს, აბსოლუტურად ყველას

> **„კი, მაგრამ ეს ხომ წინა ხელისუფლების მიზანი იყო, რომ კვალიფიციური მასწავლებლები სკოლიდან გაეყარა და შეეყარა პატარა, ბაკალავრიატ დამთავრებული გოგო-ბიჭები? რატომ არ წერია კანონში, რომ ბაკალავრიატ კურსდამთავრებულს არ უნდა ჰქონდეს უფლება, სკოლაში ასწავლიდეს?“**

— ეს სტატუსი ეკარგება.

**— რას ნიშნავს „სტატუსი ეკარგება?“**

— იმას, რომ პედაგოგის სტატუსი აღარ ექნებათ და გამოყრიან.

**— 42 000 მასწავლებელს? ანუ სკოლები აღარ იმუშავებს? მე ასეთი რამ არ გამიგია და მსგავსი სხვა ქვეყნებში მომხდარა?**

— ესაა გაუგონარი რამ, რომელიც ნამდვილად არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება! ეს გააკეთეს „ნაციონალებმა“ და ძალიან სამწუხაროა, რომ სწორედ „ნაციონალები“ აკრიტიკებენ დღეს იგივე კანონპროექტს და საერთოდ ხმას იღებენ მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებით. საქმე ამ დონემდე რატომ მიიყვანა „ქართულმა ოცნებამ“? თავიდანვე ხელისუფლებამ განათლების პოლიტიკის განსაზღვრა დაიწყო არასწორად, ის სამოქმედო პროგრამა, რაც ჩვენ შევქმენით, გვერდზეა გადადებული და პოლიტიკური ელიტა სხვა რამეს აკეთებს. მთავრობას აქამდე უნდა მიეღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და სააკაშვილ-მერაბიშვილ-მიმინოშვილის მიერ ჩატარებული სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები უნდა გაუქმებულიყო. ასევე არ შესრულებულა ივანიშვილის სხვა დაპირებაც: ივანიშვილს რომ მოვთხოვეთ მასწავლებლისთვის ხელფასის საბაზისო 1000 ლარი, გვითხრა, ამას ვერ ზიდავს ბიუჯეტიო და 500-ლარიანი ხელფასი გამოაცხადა, როცა გამოდიოდა წინასაარჩევნო ბატალიებზე, მაგრამ თუ საჯარო მოხელეებს აძლევენ 700-ს და მეტს, მასწავლებელი დაბალი ღობეა? მაგრამ ის 500-იც რომ არ შესრულებულა დღემდე? მოკლედ, ახალ კანონპროექტში „მასწავლებლის პროფესიას“, ამ დიდ, მესამე თავს საერთოდ ცვლიან, მაგრამ ცვლიან გაუმართავი და გაუგებარი, კორუფციული ხვრელებით გაჯერებული დოკუმენტით და ასე არ გამოვა. სინამდვილეში ქვეყანაში უნდა შეიქმნას სრულიად ახალი სისტემა, რადგანაც ქვეყანას განათლების მართვის სტრუქტურა არ აქვს: უნდა შეიქმნას ქვეყანაში მეთოდური სამსახურები და საინსპექტორო სამსახური, რაც დაეხმარება მასწავლებელსა და სახელმწიფოს ერთობლივად. ამაზე არაფერია ნათქვამი კანონპროექტში და ამას, თქვენ წარმოიდგინეთ, არც „რესპუბლიკურმა პარტიამ“ არ დაუჭირა მხარი, არც ალასანიას პოლიტიკურმა ჯგუფმა და არც სხვა დეპუტატებმა, ანუ კოალიციამ მთლი-

> **„ესაა გაუგონარი რამ, რომელიც ნამდვილად არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება! ეს გააკეთეს „ნაციონალებმა“ და ძალიან სამწუხაროა, რომ სწორედ „ნაციონალები“ აკრიტიკებენ დღეს იგივე კანონპროექტს და საერთოდ ხმას იღებენ მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებით. საქმე ამ დონემდე რატომ მიიყვანა „ქართულმა ოცნებამ?“**

> **„ეს ახალი სქემა კიდევ უფრო აბსურდული და ძვირადღირებულია, კიდევ უფრო გაურკვეველი და ბნელეთით მოცულია და ეს ის საკითხებია, რაც ამ დღეებში ისევ დადგება პარლამენტის განხილვაზე. მე ვარ ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც პირველად განაცხადა მინისტრმა სანიკიძემ, რომ მინდა სასერტიფიკაციო ყველა გამოცდის მოხსნაო, მაგრამ დააყოლა, თუ შევძელიო და დავინახეთ, რომ ვერ შეძლო, რადგანაც მიმინოშვილმა და მისმა მომხრეებმა იმდენი იბრძოლეს, რომ გამოცდები დატოვეს“**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თქვენს გამოსვლაში წარსულისა და აწმყოს დამახინჯებული სურათი დავინახე“



„კეიტოს“ ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლის შემდეგ, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, სააკაშვილმა აუდიტორიის კითხვებსაც უპასუხა, სიტყვა ითხოვა საქართველოს ელჩმა აშშ-ში არჩილ გეგეშიძემაც.

„ველოდი თქვენგან უფრო სრული სურათის აღწერას, რა მოხდა და რა ხდება საქართველოში და მის ირგვლივ, სამწუხაროდ, თქვენს გამოსვლაში დავინახე წარსულისა და აწმყოს დამახინჯებული სურათი.

რა თქმა უნდა, 2003 წლის შემდეგ ტრანსფორმაციამ საქართველოს ცვლილებები მოუტანა, მაგრამ აღმოსავლური ბრძნული გამონათქვამის მიხედვით, „ყველაფერი რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის“. ველოდი თქვენგან იმის ახსნას, რატომ უნდა მიეცა ხალხს ხმა თქვენს წინააღმდეგ. თქვენ თქვით, რომ ეს მოხდა ფეოდალური მენტალიტეტის გამო, რომ ქართველებისთვის ეს ნაცნობია და წარსულზე ორიენტირებული ადამიანები ვერ იგებენ, რა არის პროგრესი, მაგრამ რეალურად ჩვენ ვნახეთ ისეთი მმართველობა რომელიც ქართველი ხალხისთვის მიუღებელი იყო“. – განუცხადა არჩილ გეგეშიძემ მიხეილ სააკაშვილს.

ელჩის რეპლიკას ყოფილი პრეზიდენტის პასუხიც მოჰყვა:

„გიპასუხებთ სინგაპურის ყოფილი ლიდერის სიტყვებით, ის თავის წიგნში ამბობს, რომ ნებისმიერ წარმატებულ მთავრობას ხალხი მაქსიმუმ 10 წელიწადში გადაირჩევს, თავისუფალი არჩევნების გზით, რადგან ხალხს ცვლილება უნდა. რა თქმა უნდა, არჩევნები საფასურს მოითხოვს. როდესაც ვსაუბრობ ფეოდალურ მენტალიტეტზე, ვგულისხმობ კორუმპირებულ ელიტას, რომელიც ჩემი ქვეყნის სადავეებთან დაბრუნდა, მე ვამაყობ იმ რეფორმებით რომელიც გავატარეთ, იმ შენობებით, რომლებიც ავაშენეთ.

ბატონო ელჩო, თქვენი მდგომარეობის ნამდვილად არ მშურს, აქ არიან ყოფილი ელჩები, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ აზრის გამოხატვა და ამას გისურვებთ თქვენც. თქვენ თქვით, რომ, რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის, მაგრამ არსებობს მეორე გამოთქმაც შეიძლება ოქრო არ იყო, რაც ბრწყინავდა, მაგრამ ხომ ბრწყინავდა?! ხალხი ფიქრობს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდის“. – აღნიშნა სააკაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ნინუას საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ



თბილისის საქალაქო სასამართლოში, სამხედრო დანიშნულების მანქანების შეძენის საქმეზე, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, ალექსანდრე ნინუას, წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ აღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვა, თუმცა, მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. დაცვის მხარე ამტკიცებდა, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები უსაფუძვლო იყო. პროკურატურა ნინუას სახელმწიფო ქონების გაფლანგვასა და ყალბი დოკუმენტების შედგენას ედავება. ადვოკატ ოთარ კახიძის მოთხოვნით, საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს.

თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს ალექსანდრე ნინუას გასული წლის დეკემბერში თბილისის საქალაქო სასამართლომ იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას კიდევ ერთი ბრალი თავდაცვის სამინისტროში ჩატარებულ წვრთნებთან დაკავშირებულ საქმეზე აქვს წარდგენილი. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

ანად. და ის, რასაც გვპირდებოდა ივანიშვილი და, რაც ჩაიწერა პროგრამაში, რომ გაუქმდებოდა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო და ღირსების შემლახავი გამოცდები, ამას კანონში ვერ ვხედავთ, ანუ არ უქმდება. სკოლა ხომ დაცემული და გამოშიგნულია შიგნიდან და ამას ის აკლდა, რომ ახლა თურმე მასწავლებლების გარეშე უნდა დატოვონ სკოლები? კი, მაგრამ ეს ხომ წინა ხელისუფლების მიზანი იყო, რომ კვალიფიციური მასწავლებლები სკოლიდან გაეყარა და შეეყარა პატარა, ბაკალავრიატ დამთავრებული გოგო-ბიჭები? რატომ არ წერია კანონში, რომ ბაკალავრიატ კურსდამთავრებულს არ უნდა ჰქონდეს უფლება, სკოლაში ასწავლიდეს? აქ საინტერესო ამბავი მოხდა: პარლამენტმა რომ მასწავლებლების კატეგორიებად დაყოფა დააყენა ეჭვქვეშ, რადგანაც გაუგებარია, ეს როგორ უნდა მოხდეს? როგორ უნდა მიანიჭო კატეგორია? რა უნდა გაზომო?

**— ჩვენ ეს კითხვა თავის დროზე დავსვით, მაგრამ ამას ვერავინ გვეუბნება, მათ შორის სამინისტრო.**

– ვერ გეუბნებათ იმიტომ, რომ აბსოლუტურად გაუგებარ დოკუმენტს „მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს" ეყრდნობა ეს კატეგორიები და ეს დოკუმენტი კი არის მთლიანად გადასაგდები, ისეთი ქართულითაა დაწერილი, საერთოდ რომ ვერ გაიგებ. მაგას ამბობს სწორედ კილურაძე, რა უნდა გაიზომოს, რა კრიტერიუმებზეა ლაპარაკი, ესაა გაუგებარიო. ამიტომ, ეს ცვლილებები ამ სახით არ უნდა იქნას მიღებული! თავის დროზე „ნაციონალებს" ვეუბნებოდი, რომ მასწავლებლის პროფესიის თავი, მუხლები, მაძიებლობა, სასერტიფიკაციო გამოცდები, მასწავლებლის პროფესიული სქემა, რომელიც ამ ცვლილებებიდან გამომდინარეობს, არ იმუშავებს-მეთქი და ხომ შესრულდა ჩემი სიტყვები? ახლაც იგივეს ვამბობ: ეს ახალი სქემა კიდევ უფრო აბსურდული და ძვირადღირებულია, კიდევ უფრო გაურკვეველი და ბნელეთით მოცულია და ეს ის საკითხებია, რაც ამ დღეებში ისევ დადგება პარლამენტის განხილვაზე. მე ვარ ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც პირველად განაცხადა მინისტრმა სანიკიძემ, რომ მინდა სასერტიფიკაციო ყველა გამოცდის მოხსნაო, მაგრამ დააყოლა, თუ შევძელიო და დავინახეთ, რომ ვერ შეძლო, რადგანაც მიმინოშვილმა და მისმა მომხრეებმა იმდენი იბრძოლეს, რომ გამოცდები დატოვეს. ამის შედეგად კი მივიღეთ, რომ, თუ პრაქტიკოსმა



მასწავლებელმა საგნობრივი გამოცდა არ ჩააბარა, სკოლიდან გააგდებენ და, პროფესიული უნარები თუ არ ჩააბარა, ვერ დაწინაურდება. მიმინოშვილის ეროვნულმა ცენტრმა მოიპოვა ის უფლება, რომ ამ საკითხში სრულიად არაპროფესიონალი ცენტრი მასწავლებელს უნდა დააკვირდეს გაკვეთილზე და ეს რა არის? ანუ, გამოდის, რომ ვინც რას ჩააწყობს, ის ლუკმა ხვდება და გააჩნია, ვის უფრო დიდი პატრონი ჰყავს, არა?

**„ივანიშვილს რომ მოვთხოვეთ მასწავლებლისთვის ხელფასის საბაზისო 1000 ლარი, გვითხრა, ამას ვერ ზიდავს ბიუჯეტიო და 500-ლარიანი ხელფასი გამოაცხადა, როცა გამოდიოდა წინასაარჩევნო ბატალიებზე, მაგრამ, თუ საჯარო მოხელეებს აძლევენ 700-ს და მეტს, მასწავლებელი დაბალი ღობეა? მაგრამ ის 500-იც რომ არ შესრულებულა დღემდე?"**

**„მიმინოშვილის ეროვნულმა ცენტრმა მოიპოვა ის უფლება, რომ ამ საკითხში სრულიად არაპროფესიონალი ცენტრი მასწავლებელს უნდა დააკვირდეს გაკვეთილზე და ეს რა არის? ანუ, გამოდის, რომ ვინც რას ჩააწყობს, ის ლუკმა ხვდება და გააჩნია, ვის უფრო დიდი პატრონი ჰყავს, არა?"**



**— და ვინ ჰყავს მიმინოშვილს ასეთი?**

– ვინ? ეს ხელისუფლება, ვერ ხედავთ, ვინ ჰყავს? რატომ ჰგონიათ, რომ არ მახსოვს, გამოცდებზე ზოგს ქულებს რომ აკლებდნენ და, ზოგს – უმატებდნენ და, სააკაშვილმა რომ თქვა, 1000 პედაგოგის გარდა, არ დამანახოთ არავინ ზღვარგადალახულიო, როგორ, ეს დამავიწყდება? და რა, ეს შედეგები არ უნდა გაუქმებულიყო? ყველაფერი რომ პოლიტიკური ნიშნით კეთდებოდა, მაინტერესებს, ეს გამოცდები რატომაა შენარჩუნებული? ახლა ხელში ჩაიგდო მიმინოშვილმა გამოცდების გარდა კიდევ მასწავლებლებზე მონიტორინგიც და ეს უნდა მიიღონ?

**— რა უნდა გაკეთდეს?**

– პარლამენტს კარგი გზა აქვს არჩეული: ეს 42 000 მასწავლებელი არ უნდა გაიყაროს ქუჩაში, ამიტომ, კანონში ეს თარიღი, 2014 წლის 31 დეკემბერი, საერთოდ უნდა გაუქმდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამხელა არმიას მასწავლებლობისას ხელფასები შეუჩერდებათ, ჩამოერთმევათ სტატუსი და ესაა კატასტროფა და კიდევ: მთელი „ნაციონალური" კორპუსი დღეს რომ შენარჩუნებულია სკოლებში, ვინ შევიდა დღეს სკოლის ახალ დირექტორებად? ისინიც ხომ „ნაციონალების" გადამზადებულები არიან? მარტო დირექტორები? დირექციები? ამიტომ ვიმეორებ, უნდა მოხდეს თარილის გაუქმება და ტოტალური ცვლილება სისტემის, ამიტომ თავიდან უნდა დაიწეროს ზოგადი განათლების კანონი და ის დირექტორები, დიდი ამბით რომ ჩაატარეს კონკურსები, ყველა გასაშვებია სკოლებიდან და კანონში უნდა ჩაიწეროს, მხოლოდ პროფესიონალები მიიღონ დირექტორებად.

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით განათლების სამინისტროს წარმომადგენელს მანანა რატიანს:**

**— ორთვე-ნახევარი დარჩა იანვრამდე და სამინისტროს აქვს საშუალება, რომ ისეთ დონეზე დახვეწოს კანონპროექტი, რომ პარლამენტი დაეთანხმოს მის მიღებას?**

– პრობლემა ისაა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით ვერაფერს გიპასუხებთ, რადგანაც საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც შეტანილია კომიტეტში, არის მრავალი საკითხი, რომელიც მარტო მასწავლებლებს არ ეხება და, აქედან გამომდინარე, ამაზე პასუხი ვერ მექნება.

**— და სხვა გამოსავალს ხედავთ, რომ ის 42000 მასწავლებელი არ დარჩეს სტატუსის გარეშე?**

– კი, გადაწყდა, რომ 31 დეკემბერს მასწავლებლებს არ შეუჩერდებათ სტატუსი და მასწავლებლებს პრობლემა არ ექნებათ.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გიორხელიძის გატაცების საქმეზე ზურაბ კობეშავიძის მამა და სიძე დაკითხეს



იოსებ გიორხელიძის გატაცების ფაქტზე სამართალდამცველებმა იმ აგარაკის მფლობელები დაკითხეს, სადაც მძევალი გამტაცებლებს სამი დღე ჰყავდათ დამალული.

მომღერალ ზურაბ კობეშავიძის მამა ჰამლეტ კობეშავიძე და მისი სიძე ზურაბ ჭუმბურიძე აცხადებენ, რომ ისინი გამოძიებასთან თანამშრომლობენ და სამართალდამცველებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. ზურაბ ჭუმბურიძე ადასტურებს, რომ ის გატაცების საქმეზე დაკავებულ დურმიშხან ლვაჩლიანს იცნობს და აგარაკის გასაღები მას თავად გადასცა. თუმცა ბრალდებულს მისთვის არ უთქვამს, რისთვის სჭირდებოდა აგარაკზე ასვლა.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 19 წლის იოსებ გიორხელიძე 10 ოქტომბერს გაიტაცეს. ძალოვანმა უწყებამ გატაცების ფაქტზე 4 პირი დააკავა: დურმიშხან ლვარჩლიანი, ჯემალ შონია, ალექსანდრე ჭანტურია და გიორგი ქალდანი. შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულებს შორის კონსტიტუციური უსაფრთხოებისა (კუდ-ი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტების (სოდ-ი) ყოფილი თანამშრომლები არიან. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## უმრავლესობა სოხუმი-მოსკოვის ხელშეკრულების შესახებ რეზოლუციაზე ვერ შეთანხმდა



საპარლამენტო უმრავლესობაში არ აქვთ ერთიანი პოზიცია, შეიმუშავებენ თუ არა რეზოლუციის ტექსტს, რომლითაც საქართველოს პარლამენტი რუსეთსა და დე ფაქტო აფხაზეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას გააპროტესტებს.

არსებული ინფორმაცია, რომ საპარლამენტო უმრავლესობა „ნაციონალური მოძრაობისგან" დამოუკიდებელ რეზოლუციის პროექტზე მუშაობდა, ბოლოს გაქარწყლდა. სხდომა, სადაც „ქართულ ოცნებას" რეზოლუციის ტექსტი უნდა გამოექვეყნებინათ, ისე დასრულდა რომ დეპუტატებს რეზოლუციაზე არ უსაუბრიათ.

საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილი ფიქრობს, რომ რეზოლუციაზე მუშაობა მალე უნდა დაიწყოს, ნაწილს კი მიაჩნია, რომ რუსეთისა და დე ფაქტო აფხაზეთის ხელშეკრულებას სიღრმისეული ანალიზი სჭირდება.

რუსეთსა და დე-ფაქტო აფხაზეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმცირესობამ კი პარლამენტში უკვე დაარეგისტრირა რეზოლუციის პროექტი. რამდენიმეპუნქტიან დოკუმენტში ნათქვამია, რომ უნდა შეწყდეს აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებები. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



**საქართველოში საგზაო წესებისა და მძღოლთა მომზადების მხრივ, მრავალი პრობლემაა და ამას, მძღოლებიც და ფეხით მოსიარულეებიც, ყოველდღიურად ვაწყდებით. ცხადია, ყველას ჩამოთვლას აქ ვერ შევძლებთ, მაგრამ მათი ნაწილის შესახებ შეიძლება საუბარი.**

**„ალიას“ საავტომობილო სკოლის პედაგოგი, ირაკლი კოჭლამაზაშვილი, რომელსაც ამ სფეროში მოღვაწეობის 25-წლიანი გამოცდილება აქვს, ამ ხარვეზების ნაწილზე ესაუბრა. ხაზგასასმელია, რომ მან მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებში შეცდომები და შეუსაბამობებიც აღმოაჩინა და ამის რამდენიმე ნიმუშს გთავაზობთ.**

**— ბატონო ირაკლი, რა შენიშვნები გაქვთ საგზაო მოძრაობის წესებთან დაკავშირებით?**

– უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა ავტომობილების რაოდენობა, 950 000 რეგისტრირებული ავტომობილია საქართველოში, 4 კაცზე საშუალოდ 1 ავტომობილი მოდის და ეს ძალიან დარღვევების დიდი ნაწილი უყურადღებობით, უდისციპლინობითა და დაუსჯელობით არის გამოწვეული. მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ ბევრი უცხოელი ტურისტი დადის საქართველოში, ბევრი მანქანითაც ჩამოდის და ყველა ხედავს იმ ქაოსს, რაც საქართველოშია ამ მხრივ და შესაბამისი წარმოდგენაც ექმნებათ ჩვენს ქვეყანაზე. გარდა ამისა, როცა მსოფლიოს უსაფრთხო ქვეყნების რეიტინგი დგება, იქ ითვალისწინებენ ქვეყანაში ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობასაც და ესეც ახდენს გავლენას ამ რეიტინგების შედგენისას. ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუნდაც ტურიზმის განვითარების კუთხით.

**— ეგ ყველაფერი გავიგე, უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით, რა სახის დარღვევებით გამოირჩევიან ქართველი მძღოლები?**

– სიჩქარის გადაჭარბება, საგზაო ნიშნების ან მონიშვნების უგულებელყოფა, გასწრების წესების დარღვევა, არასწორი გაჩერება და დგომა, გზაჯვარედინებზე გავლის რიგითობის დარღვევა, სანათი ხელსაწყოების არასწორი გამოყენება, მოძრაობის ზოლის არასწორი შეცვლა, არასწორი დისტანციისა და ინტერვალის არჩევა, გამოუცდელობა, ტექნიკური გაუმართაობა, მძღოლთა არაფხიზელი მდგომარეობა და სხვ. ცხადია, რაც მეტია დარღვევა, მით უფრო მეტია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებიც. ყურადღებას რამდენიმე ფაქტორზე გავამახვილებ: მძღოლთა დიდი ნაწილი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობს, თუ გზა ამის შესაძლებლობას აძლევს.

**— თუ მძღოლს აქვს იმის უფლება, რომ კონკრეტულ გზაზე მაღალი სიჩქარე განავითაროს, რას ერჩით?**

– უფლება რომ არ აქვს, მაგას ვჩივი სწორედ. სისწრაფის დროს, ველარ ასწრებს მძღოლი მანქანის დამუხრუჭებას და ამის გამო, არაერთი უბედურება დატრიალებულა. გარდა ამისა, მძღოლები არ აქცევენ საგზაო ნიშნებს ყურადღებას და ბევრმა მათი მნიშვნელობაც კი არ იცის. დავუშვათ, დგას ნიშანი – „შესვლა აკრძალულია“, მძღოლები მაინც შედიან. „მარჯვნივ მოხვევა აკრძალულია“, ან „მარცხნივ მოხვევა აკრძალულია“ – მაინც უხვევენ, „გაჩერება აკრძალულია“ – მაინც აჩერებენ. არის ადგილები, სადაც გაჩერება აკრძალულია, მაგრამ ავტომობილები მთელი დღე დგანან. თუ გაჩერება აკრძალულია, მთელი დღე იქ დგას ავტომობილი და ხელს არავის უშლის, რატომ კიდია ეს ამკრძალავი ნიშანი? თუ აკრძალულია, მაშინ ყველა მძღოლი ვალდებულია, დაემორჩილოს.



ირაკლი კოჭლამაზაშვილი

# რა შეცდომებია „პრავის“ ბილეთებში

## რა განუცხადა „ალიას“ შსს-ს წარმომადგენელმა



ბევრია. შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო შემთხვევებიც ხშირია და მისით გამოწვეული უარყოფითი შედეგებიც. ეს დაუშვებელია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ბევრია დამრღვევი მძღოლი. საერთოდ, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების 75% მძღოლების მიზეზით ხდება. დღეს ბევრი მძღოლი ისჯება დარღვევების გამო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის. ხშირად დამრღვევი მძღოლის დასჯა ვერ ხერხდება, რადგან მძღოლი არის გავლენიანი პიროვნება ან მაღალჩინოსნის პირადი მძღოლია. აქ საზოგადოებასთანაც გვაქვს პრობლემა. როცა დამრღვევ მძღოლს აჩერებს პატრული, ხალხს პატრულის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, ყველა მძღოლს ესარჩლება და პატრულს ამტყუნებს. უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი აზრი და იმას უნდა შევეგუოთ, რომ ყველა დამრღვევი მძღოლი დაისაჯოს, მიუხედავად იმისა, ვინ არის ის და ვის ატარებს.

**— ამგვარ, უადგილო ადგილას გაჩერებული ავტომობილები, „სითი პაკს“ ევაკუატორით გადაჰყავს ფასიან ავტოსადგომებზე და მძღოლებსაც უზარმაზარ ჯარიმებს უწერს. ამ კომპანიამ ისედაც გაატყავა თბილისელები წლების მანძილზე და ახლა ისე ნუ ვიზამთ, ახალი საკბილო მივცეთ.**

– არა, „სითი პარკს“ მე საკბილოს არ მივცემ, ეგენი უჩემოდაც უპრობლემოდ აჯარიმებენ. ნებისმიერი ნიშნის დაყენება, აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული და მას ყველა მძღოლი უნდა დაემორჩილოს. განსაკუთრებით უნდა მოინიშნოს ის ადგილები, სადაც არის ნიშანი „დაუთმეთ გზა“. აქ გადამკვეთი გზაა მთავარი და მოძრავ ტრანსპორტს გზას არ უთმობენ. აღმაშენებლის გამზირზე არსებობს სპეციალური ზოლი ავტობუსებისა და მიკროავტობუსებისთვის. მარჯანიშვილიდან „დინამოს“ სტადიონის მიმართულებით წასვლა აკრძალულია, მაგრამ ამ ავტობუსებსა და მიკროავტობუსებისთვის ნებადართულია, მათთვის სპეციალური ზოლია გამოყოფილი. თუმცა, მეორეხარისხოვანი გზიდან მომავალი მძღოლები გადადიან მათთვის გამოყოფილ სავალ ნაწილში და ხელს უშლიან, ირღვევა ავტობუსებისა და მიკროავტობუსების გრაფიკით მოძრაობა. აი, ამას უნდა მიაქციონ ყურადღება. ასევე, „საგზაო მოძრაობის წესებში“ არის ასეთი ჩანაწერი“: „გაჩერება იკრძალება სამარშრუტო ტრანსპორტის ახლოს და მისგან 15 მეტრის დაშორებით, თუ ხელს შეუშლის მის გაჩერებას“. თუ ხელს არ შეუშლი, შეიძლება გაჩერება, მაგრამ თუ ხედავ, რომ ავტობუსი ან მიკროავტობუსი მოდის, მაშინ გაჩერების უფლება არ გაქვს. მაგრამ ავტომობილები იქ მთელი დღე დგანან და საზოგადოებრივი ტრანსპორტი მეორე ზოლში ჩერდება. ასეთი დარღვევა ბევრია. ცხადია, ეს იწვევს მოძრაობის შეფერხებას და სხვა პრობლემებს.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

– გამოსავალი ძალიან მარტივია. რაც აკრძალულია, ის უნდა აიკრძალოს და ამით დასრულდება ყველაფერი. პატრულმა კონტროლი უნდა გაამკაცროს ასეთ დარღვევებზე. თავის დროზე, ჩვენი საზოგადოება ღვედების გამოყენებასაც ძალიან ნეგატიურად შეხვდა, მაგრამ დღეს ეს ხალხი, ღვედის გარეშე არ მოძრაობს, რადგან ჯარიმა არავის არ უნდა. იმ ავტომობილის მძღოლებს რომ ეცოდინებათ, რომ დააჯარიმებენ, თუ იქ გააჩერებენ მანქანას, სადაც აკრძალულია და რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვისაა გამოყოფილი, მერე იქ აღარ გააჩერებს მანქანას.

**— იქნებ ბევრმა არც იცის, სად უნდა გააჩეროს მანქანა, სად უნდა მოუხვიოს და სად — არა? საერთოდ, როგორია მძღოლების მომზადების ხარისხი?**

– ამ მხრივ, სერიოზული პრობლემებია, ძალიან მარტივად ხდება მართვის მოწმობების აღება, ბევრი მოუმზადებელი მძღოლი იღებს მართვის მოწმობას. მძღოლთა მოსამზადებელი დაწესებულებები, ანუ ავტოსკოლები, დღეს სრულიად უკონტროლოდ არიან. ადრე განათლების

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ტაქსის მძღოლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი მიშა შ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 15 ოქტომბერს, გვიან ღამით, სოფელ დარჩელში, ურთიერთშელაპარაკებისას, დანით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა ტაქსის მძღოლს, 1976 წელს დაბადებულ გოდერძი შ-ს, რომელიც მიყენებული ჭრილობების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. მიშა შ. შემთხვევის ადგილიდან გარდაცვლილის კუთვნილი ავტომობილით მიიმალა, მოგვიანებით კი ავტომანქანა მეზობელ სოფელში, ახალ კახათში მიატოვა. მიშა შ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, დარჩელი-ორსანტიის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### პრემიები იმერეთის რეგიონშიც აქტიურად გაიცემოდა




ორგანიზაცია **IDFI** იმერეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან პრემიებთან, დანამატებთან, წარმომადგენლობით და სხვა ხარჯებთან დაკავშირებით მიწოდებულ ინფორმაციას ავრცელებს.

ინფორმაციის მიხედვით, 2013 წელს, სხვა რეგიონების მსგავსად, პრემიები აქტიურად გაიცემოდა იმერეთის რეგიონშიც.

მაგალითად: ქუთაისის მერიაში პრემიის სახით სულ გაიცა 1 870 045 ლარი; საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობაში – 599 480 ლარი; ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში – 197 570 ლარი, ხოლო საკრებულოში – 94 080 ლარი; ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოში – 78 390 ლარი.

ასევე, 2014 წლის მარტის მონაცემებით, ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს სარგებლობაში სულ 9 ავტოსატრანსპორტო საშუალებაა. მათი ნარჩენი ღირებულება შეადგენს, ჯამში, 126 764.12 ლარს. აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან ყველაზე ძვირადღირებულია 2012 წელს 42 859 ლარად შესყიდული ავტომობილი „**Toyota Hilux**“.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება 11 ავტომობილი, საერთო ნარჩენი ღირებულებით – 159 916.2 ლარი. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

სამინისტროს ექვემდებარებოდნენ და იქ ერთი კაცის ხელში იყო ავტოსკოლისთვის ლიცენზიების გაცემა. მერე განათლების სამინისტროს დაქვემდებარებიდანაც გამოვიდნენ ეს სკოლები და მათზე აღარანაირი სახელმწიფო კონტროლი არ ხორციელდება.

— **ბატონო ირაკლი, რას გულისხმობთ, რომ ეს ავტოსკოლები რომელიმე სახელმწიფო უწყებას დაექვემდებაროს და კერძო სკოლები აღარ იყოს? ეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება და ამაზე დიდი ამბავი ატყდება.**

– არა, ნუ დავუქვემდებარებთ კონკრეტულ უწყებას, მაგრამ კონტროლის მექანიზმი აუცილებელია. კერძო საჯარო სკოლები ხომ არსებობს და მათ განათლების სამინისტრო აკონტროლებს, უწესებს სავალდებულო კრიტერიუმებს და როცა საჭიროა, ამოწმებს მათ. ამ სკოლების პედაგოგების კვალიფიკაციას, ცოდნის ხარისხს არ ამოწმებს განათლების სამინისტრო? ავტოსკოლებიც, ჩემი აზრით, უპრიანია, შს სამინისტროს კონტროლის ქვეშ იყოს, სამინისტროში კი უნდა არსებობდეს სპეციალური კომპეტენტური კომისია, რომელიც გადაწყვეტს, ვის მისცეს ლიცენზია და ვის – არა. დღეს, ნებისმიერ პიროვნებას, ვისაც აქვს რამდენიმე კვადრატული მეტრი ფართი, მაგიდა და ორიოდე სკამი, შეუძლია, ავტოსკოლა გახსნას. აბა, ეს ნორმალურია? ზოგი კომპიუტერით აზეპირებინებს საგამოცდო ბილეთის სწორ პასუხებს, ზოგი – დაბეჭდილებით. ყველა ავტოსკოლა უნდა პასუხობდეს შესაბამის მოთხოვნებს და ეს მოთხოვნები, კანონით უნდა იყოს გამყარებული. თეორიისა და პრაქტიკის ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება და კვალიფიკაცია. შეიძლება, მათემატიკის მასწავლებელმა ქართული ენა და ლიტერატურა ასწავლოს სკოლაში? აი, ამის ბრალია, რომ ამდენი არაპროფესიონალი და უცოდინარი მძღოლი დადის დღეს ქვეყანაში, მათმა დიდმა ნაწილმა, ელემენტარულად, საგზაო ნიშნების ცნობაც კი არ იცის. აქვე მინდა მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებზე ვთქვა, ძალიან დაბალ დონეზეა შედგენილი, ბევრი ძველი და უშინაარსო კითხვაა.

— **კონკრეტულად?**

– მოგახსენებთ. ტესტების 85 პროცენტს 2 და 3 პასუხი აქვს. იზეპირებენ ტექსტებს, აბარებენ გამოცდას, იღებენ მართვის მოწმობას და ამ ტესტების შინაარსი არ იციან.

— **თუ გამოცდაზე ყველა საკითხს სწორი პასუხი გავეცი, რატომ არ უნდა მომცენ მართვის მოწმობა? მეტი რაღა უნდა ვქნა, ბატონო ირაკლი? რაში ვარ დამნაშავე?**







– დამნაშავე იმაში ხართ, რომ კონკრეტული პასუხები, რაც ჩააბარეთ, სწორად კი ჩააბარეთ, მაგრამ მათი მნიშვნელობა არ იცით. აბა, ზემოთ რაზე ვლაპარაკობდი? მძღოლთა ერთი კატეგორია საგზაო ნიშებს არ აქცევს ყურადღებას, მეორემ კი მათი მნიშვნელობა არ იცის. ყველა მომავალი მძღოლი ვალდებული უნდა იყოს, გაიაროს ავტოსკოლის კურსები და თუ იქ ჩააბარა გამოცდები, მერე მიეცეს უფლება, გავიდეს მართვის მოწმობის ასაღებ გამოცდაზე. ეს მძღოლთა ცოდნის ხარისხს გაზრდის?

— **ეს გაზრდის მართვის აღების საფასურს, თუ სავალდებულო გახდება ავტოსკოლებში სწავლა. იქ ხომ თანხა იქნება გადასახდელი?**

– თუ ასე ვიფიქრეთ, მაშინ რა საჭიროა საჯარო სკოლები, რატომ დადიან ბავშვები სკოლებში, მოამზადონ კერძოსთან და ჩააბარებინონ პირდაპირ უმაღლეს სასწავლებლებში. მოუმზადებელი მძღოლი საფრთხეს წარმოადგენს ადამიანებისთვის და თუ მომზადების ხარისხს გავზრდით, ამ საფრთხეს მინიმუმამდე დავიყვანთ. ამისთვის, ვფიქრობ, ღირს ადამიანმა ცოტა მეტი გადაიხადოს და საფუძვლიანი ცოდნა მიიღოს.

ახლა ერთ კურიოზს გეტყვით. კანონით, **C**, **D** და **E** კატეგორიის მძღოლები ავტოსკოლებმა უნდა მოამზადონ, იქ უნდა გაიარონ თვენახევრიანი კურსები და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ უფლება, გავიდნენ გამოცდაზე ამ კატეგორიის მართვის მოწმობის ასაღებად. შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ვიკითხე – თუ **C** და **D** კატეგორიის მძღოლთათვის სავალდებულოა, რომ გაიარონ მომზადება სკოლებში, **A** და **B** კატეგორიის მძღოლების მსურველთათვის რატომ არ არის იგივე სავალდებულო? იცით, რა მიპასუხეს? **A** და **B** კატეგორიის მძღოლობის მსურველებს ვერ ამზადებენ სკოლებში კარგადო. როგორ, უფრო მაღალი, **C** და **D** კატეგორიის მძღოლებს ამზადებს სკოლა, ის **A** და **B** კატეგორიისას ვერ მოამზადებს? რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაარღვევს წესებს? მით უმეტეს, **B** კატეგორიის მძღოლი უფრო მეტია, ვიდრე სხვა.




2013 წლის 24 დეკემბერს, პარლამენტმა მიიღო კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“. პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმაც მოაწერა ხელი და ეს კანონი ძალაში შევიდა. ახალი კანონი 2014 წლის 1-ლი ივლისიდან ამოქმედდა. ამ კანონის თანახმად, ახალი საგამოცდო ბილეთები უნდა შემოსულიყო. თუმცა, ჯერ არ გამოსულა. არსებულ ბილეთებში კი მრავალი შეცდომაა. კონკრეტულ მაგალითებს მოგიყვანთ.

ბილეთი №11. კითხვა №12. მძღოლები და ქვეითები ასრულებენ მარეგულირებლის მიერ მოცემულ სიგნალების მოთხოვნებს, მაშინ როცა ისინი ეწინააღმდეგებიან.

1. შუქნიშნის სიგნალებს;
2. საგზაო ნიშნებისა და მონიშვნის მოთხოვნებს;
3. ყველა ჩამოთვლილ მოთხოვნებს;

სწორია მესამე პასუხი, მძღოლი უნდა დაემორჩილოს მარეგულირებლის სიგნალებს, არც საგზაო ნიშნებს და არც არაფერს არ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ პასუხის მიხედვით. ახლა ამის საწინააღმდეგოს ვნახავთ.

ბილეთი №11. კითხვა №17. რომელი მიმართულებით გეძლევათ მოძრაობის უფლება მოცემულ სიტუაციაში?

1. მხოლოდ პირდაპირ;
2. პირდაპირ და მარჯვნივ;

პასუხია – მხოლოდ პირდაპირ. აქ რასაც მეუბნება, იმის საწინააღმდეგოს მეუბნება ზემოთ. აქ უკვე ემორჩილება, როგორც მარეგულირებელს, ისე საგზაო ნიშანს. რაც წელან ვთქვით, იმის საწინააღმდეგოა.

ბილეთი №10. კითხვა №1. მოცემულ სიტუაციაში, ისრებით ნაჩვენები მიმართულებით, მოძრაობის უფლება აქვთ:

1. ყვითელი ავტობუსის მძღოლს;
2. ყვითელი ავტობუსისა და მსუბუქი ავტომობილის მძღოლს;
3. მსუბუქი ავტომობილის მძღოლს.

სწორი პასუხია მესამე, მაგრამ მათ სწორ პასუხად მიჩნეული აქვთ მეორე. სიტუაცია ასეთია – მსუბუქი მანქანა აბრუნებს გზაჯვარედინზე, მარცხენა ზოლიდან, ავტობუსი კი უხვევს მარჯვენა ზოლიდან, რაც დარღვევაა. შესაბამისად, გზა მსუბუქი ავტომობილისაა.




ბილეთი №10. კითხვა №15. როგორ უნდა მოიქცეს მწვანე ფერის ავტომობილის მძღოლი, რევერსიული შუქნიშნის ყვითელ სიგნალზე:

1. გააგრძელოს მოძრაობა პირდაპირ;
2. გაატაროს წითელი ავტომობილი და გადაადგილდეს მარჯვენა ზოლში.

სწორი პასუხია მე-2, მაგრამ შევნიშნავ: სურათზე 4 ზოლია და ოთხივე არ შეიძლება რევერსიული იყოს, რადგან შუქნიშნების გამორთვის შემთხვევაში, ამ გზაზე მოძრაობა საერთოდ იკრძალება. მარტო 2 რევერსიული ზოლი შეიძლება.




ბილეთი №20. კითხვა №56. თქვენ აგრძელებთ მოძრაობას მარცხნივ. ვის უნდა დაუთმოთ გზა

1. არავის;
2. ორივე სატრანსპორტო საშუალებას;
3. არც ერთს;
4. მხოლოდ ოპერატიულ მანქანას, რომელსაც ჩართული აქვს შუქურა და ხმოვანი სიგნალი.

სწორი პასუხია 4. 1-ლი და მე-3 პასუხი ერთი და იგივეა – არავის და არც ერთს. რა განსხვავებაა? ეს აბნევს ადამიანს. გარდა ამისა, ოპერატიულ მანქანას თუ ჩართული აქვს შუქურა, არ ჩანს, არც სურათზე და არ კითხვაში. თუ ჩართული აქვს, ეს ან კითხვაში უნდა ჩანდეს, ან სურათზე.

**„ალია“ კომენტარისთვის შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს იურიდიული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს, გიორგი მინდიაშვილს დაუკავშირდა:**

– ძველ ბილეთებში თუ რაიმე ხარვეზი იყო, ყველაფერი გავითვალისწინეთ და შესაბამისად, ახალ ბილეთებში არც ერთი ძველი ბილეთი არ განმეორდება. საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონის ყველა მოთხოვნაა გათვალისწინებული ამ ახალ ბილეთებში. ახალი ბილეთები უკვე მზად არის და დღე-დღეზე მათ გამოქვეყნებას ველოდებით.

— **მართვის უფლების აღების მსურველებს რას ურჩევთ, თქვენი სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ბილეთებით მოემზადონ გამოცდებისთვის თუ სხვა ბილეთებით? მაგალითად, ავტოსკოლები ასწავლიან სხვა ბილეთებით, შექმნილია სხვადასხვა საიტები, რომლებიც ასევე, განსხვავებული სახის ბილეთებს სთავაზობენ ხალხს.**

– ცხადია, ჩვენს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ბილეთებით თუ ისწავლიან, უმჯობესი იქნება, მაგრამ ავტოსკოლები, უმეტეს შემთხვევაში, სწავლების განსხვავებულ მეთოდოლოგიასა და სასწავლო პროგრამებს სთავაზობენ თავიანთ კლიენტებს და განსხვავებულ ბილეთებს – ნაკლებად. ამ სკოლების უმეტესობას ჩვენგან აქვს აღებული ბილეთები.

**ლევან ჯავახიშვილი**
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## „განთავისუფლებულ თანამშრომლებზე ხელფასები გამოწერეს“

„ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან განთავისუფლებულ თანამშრომლებზე ხელფასები გაიცა.

„მე მაქვს ინფორმაცია, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ადგილი ჰქონდა გაუგონარ ფაქტს. განთავისუფლებულ თანამშრომლებზე გამოწერეს ხელფასები. ჩემი ინფორმაციით, ეს არის 80 ათასი ლარი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ მაშფოთებს ის ფაქტი, რომ საქმე აღძრულია მხოლოდ მოლარის დონეზე. ეჭვი მეპარება, რომ მოლარეს თვითონ მიეღო მსგავსი გადაწყვეტილება. ამიტომ ვთვლი, რომ სრულფასოვანი გამოძიებაა ჩასატარებელი. გამიგია მკვდარ სულებზე ხელფასების გამოწერა, მაგრამ არასოდეს მსმენია, ეს განთავისუფლებულ თანამშრომლებზე მომხდარიყოს“. – განაცხადა ნადირაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ხობში სოკოთი მონაზვნები მოიწამლნენ

სოკოთი მოწამვლის სამი ფაქტი სამეგრელოში დაფიქსირდა. ხობში ნოჯიხევის დედათა მონასტრის ილუმენიისა და ორი მონაზვნის ინტოქსიკაციის მიზეზი მონასტრის ეზოში დაკრეფილი სოკო გახდა.

მოწამლულები ზუგდიდის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც სამედიცინო დახმარება გაუწიეს. ამ დროისთვის მონაზვნები ამბულატორიულ მკურნალობას გადიან. ილუმენია ანა კი კლინიკის ინტენსიური თერაპიის პალატაში ამ დრომდე რჩება. ექიმების თქმით, მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

რაც შეეხება სოკოთი მასობრივი მოწამვლის შემთხვევას რუსთავში, რამდენიმე დღის წინ მოწამლული 5 წლის ბავშვი იაშვილის კლინიკაში გარდაიცვალა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# დაპირისპირება „პიკასოს კლუბის“ ოფისში

## ვინ არიან და რა კავშირი აქვთ შსს-თან ვაკელ „მაცკას“, ნახალოვკელ „ჭუპოს“, და ავლაბრელ ძმებ როინიშვილებს



არჩილ ხარბედია

2014 წლის 7 ოქტომბერს, „პიკასოს კლუბი“ პრესკონფერენციას ატარებს.

**არჩილ ხარბედია**, „პიკასოს კლუბის წევრი“ ამბობს: „პირდაპირ 90-იან წლებში ვბრუნდებით. ამიტომ, ჩვენ, „პიკასოს კლუბს“ არ შეგვიძლია ასე მშვიდად ვისხდეთ, ურეაქციოდ. არავის ეგონოს, რომ 150-დოლარიანი ე.წ. ნასედკა აგენტებით ხალხის მანიპულირებას მოახდენს და ხალხს დააშინებს. კარგად მახსოვს 2 ოქტომბრის აქციაზე, ერთი მაღალი ვაჟკაცი, რომელიც შს სამინისტროსთან კარგად თანამშრომლობაშია შემჩნეული, პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული, როგორ ანიშნებდა ხელით, „პიკასოს კლუბის“ წევრს, ყელს გამოგჭრიო.

ვეკითხები: ვის გულისხმობთ?

**არჩილ ხარბედია: რა თქმა უნდა, მელორ ვაჩნაძეს.**

**— ანუ მელორ ვაჩნაძე აგენტია?**

**არჩილ ხარბედია:** აგენტი კი არა, თანამშრომელია პირდაპირ. მგონი, მინისტრის მოადგილეა. თებერვლის აქციაზე ის რას აკეთებდა, კარგად ვნახეთ. მელორ ვაჩნაძე არ არის უფლებამოსილი, რომ პოლიციას მიუთითოს, რა უნდა გააკეთოს. თუ გახდა უფლებამოსილი, განგვიცხადოს.

**თამარ ქუთათელაძე, „პიკასოს კლუბის“ წევრი:** სუს-ის მანქანით დადის.

**არჩილ ხარბედია:** ვაჩნაძეს აქეთაც ჰყავს აგენტები, აგენტები ბევრნი არიან, მოვა დრო, როცა მაგათ გვარებსაც გავასაჯაროებ“.

პრესკონფერენციის შემდეგ, მე და არჩილ ხარბედია შევთანხმდით, რომ ის „ალიას“ იმ ადამიანთა სიას მიაწვდიდა, რომლებიც შს სამინისტროსთან თანამშრომლობენ და სამინისტროს მიერ სხვადასხვა სახით არიან უზრუნველყოფილნი.

ჩვენი შეხვედრა 17 ოქტომბერს „პიკასოს კლუბის“ ოფისში, ტოლსტოის ქუჩაზე შედგა. ასე ისურვა თავად არჩილ ხარბედიამ.

„აი, ეს არის ჩვენი ოფისი, რომ საუბრობენ, მილიონებით გვაფინანსებენ, ნახეთ რაცაა“... ოფისი, მართლაც არაფრით გამორჩეული იყო, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის 0 სართულზე მდებარეობს. ოფისში არჩილთან ერთად კიდევ 2 ადამიანი იმყოფებოდა, ამავე ორგანიზაციის წევრები, თამარ ქუთათელაძე და ბაჩო გვანცელაძე, რომელიც როგორც არჩილ ხარბედიამ ამიხსნა, ზვიად გამსახურდიას დაცვის ყოფილი წევრია. სანამ არჩილი ჩემთან სასაუბროდ ემზადებოდა, თამარ ქუთათელაძემ რეპლიკის სახით ჩაილაპარაკა: „მიკვირს ისე, რატომ არის „ალია“ ოპოზიციის მიმართ კრიტიკულად განწყობილი... შს მინისტრის ინტერვიუც ვნახეთ, სადაც „პიკასოს კლუბზეა“ საუბარი...“

მეც ასევე, უმისამართოდ ჩავილაპარაკე: „ალიას“ უსაფუძვლოდ კრიტიკული განწყობა არავის მიმართ არ აქვს, არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის მიმართ“.

**ბაჩო გვანცელაძე:** მე თქვენს ინტერვიუს ვიდეოკამერით გადავიღებ. თუ პრობლემა არ არის.

**მე: კი, პრობლემაა. ეს არის საგაზეთო ინტერვიუ და არა ვიდეოინტერვიუ.**

**ბაჩო გვანცელაძე:** მაშინ ფოტოს გადაგიღებთ.

ჩემს ნებართვას არც დალოდებიან და მე და არჩილ ხარბედიას ფოტო გადაგვიღეს, ერთად. ხარბედიამ ოფისში, ალბათ, მსგავსი საუბრებისთვის განკუთვნილ იმ ოთახში გამიხმო, სადაც ბაჩო გვანცელაძე და თამარ ქუთათელაძე ისხდნენ. არჩილმა საუბარი დაიწყო:

– 7 ოქტომბრის პრესკონფერენციის მერე, ზუსტად 10 წუთში დამიბარეს გენერალურ ინსპექციაში და ამიხსნეს, რომ ამ თემებზე საუბარი არ შეიძლება, რომ ეს ანტისახელმწიფოებრივია.

**— იმ ადამიანებზე რას მეტყვით, რომლებიც შს სამინისტროსთან თანამშრომლობენ და სამინისტროსგან სხვადასხვა სახით არიან უზრუნველყოფილნი. პრესკონფერენციაზე მელორ ვაჩნაძეც ახსენეთ.**

– მელორ ვაჩნაძეს ცილი როგორ დავწამო, არანაირი ინფორმაცია არ მაქვს ვაჩნაძესთან მიმართებაში. ტყუილად, ადამიანისთვის ხელი არასდროს არ დამიდვია და როგორ ვთქვა ახლა ეს მელორზე. ის ჩემთვის უბრალო კრიმინალია, პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული. მელორი მთავრობას სჭირდება.

**— გასაგებია, მაგრამ მე აქ იმიტომ მოვედი, რომ ამ თემაზე უნდა გესაუბრათ, თან მტკიცებულებებით, როგორც შევთანხმდით.**

– მოდი, ამაზე ნუ ვისაუბრებთ. მე სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან თემაზე უნდა გესაუბროთ. ეს არის კონკრეტული სქემა, რომლითაც დღევანდელი პოლიცია მოქმედებს.

**— რა სქემაა?**

– სქემა ასეთია: ახალგაზრდებს, რაღაც პატარა დანაშაულებზე იჭერენ, ისეთ დანაშაულზე, რომელიც ადმინისტრაციულ სასჯელს ითვალისწინებს. ვისაც სისტემაში უმუშავია, მიხვდება რასაც ვამბობ. მიმდინარეობს ამ ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, დაშინება, ერთს რომ დაუტყაპუნებენ პოლიციაში, ამას ყველა ვერ უძლებს და მალევე აწერენ ხელს ყველაფერზე. მერე ეუბნებიან, იცით, რა, ბიძიკო, მე და შენ ახალა ამას დავივიწყებთ, ამ დანაშაულზე თვალს დავხუჭავთ, მაგრამ შენ დღეიდან ჩვენთან იმუშავებო. ასე იწყება თანამშრომლობა.

**— რას ითვალისწინებს თანამშრომლობა?**

– ეუბნებიან, მოგცემთ კარგ მობილურ ტელეფონს, ბალანსს შეგივსებთ ხოლმე, თუ ნარკოტიკს მოიხმარ, წამალს მოგცემთ, ივლი ჩვენთან ყოველდღე, რომ არ იმყოფებოდე „ლომკაში“, მაგრამ შენ მოგვიტან საქმეებს...

**— რა სახის საქმეებზეა საუბარი, რა უნდა მიუტანონ? რაში იყენებენ ამ ადამიანებს?**



**„მელორ ვაჩნაძეს ცილი როგორ დავწამო, არანაირი ინფორმაცია არ მაქვს ვაჩნაძესთან მიმართებაში. ტყუილად, ადამიანისთვის ხელი არასდროს არ დამიდვია და როგორ ვთქვა ახლა ეს მელორზე. ის ჩემთვის უბრალო კრიმინალია, პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული. მელორი მთავრობას სჭირდება“**

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ყალბი სამხედრო ბილეთის დამზადების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს




შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ქრთამის აღებაში დახმარებასა და ყალბი სამხედრო ბილეთის დამზადებაში ამხილეს და დააკავეს 1961 წელს დაბადებული, საქართველოს მოქალაქე რამიზ გ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული მოქალაქეს ყალბი სამხედრო ბილეთის დამზადებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც მობილიზაციისა და აღრიცხვის სამსახურის უფროსისთვის ქრთამის სახით გადასაცემად 1200 აშშ დოლარი მოსთხოვა. რამიზ გ-მ მოთხოვნილი თანხის ნაწილი, 700 აშშ დოლარის ოდენობით, ფოტოსურათებთან ერთად მოქალაქეს წინასწარ გამოართვა.

ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა რამიზ გ. რამდენიმე დღის შემდეგ ბრალდებულის სახით იმ დროს დააკავეს, როცა მან მოქალაქისგან აიღო დარჩენილი 500 აშშ დოლარი და ყალბი სამხედრო ბილეთი გადასცა. სამართალდამცველებმა ყალბი სამხედრო ბილეთი და ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 25-338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ეკლესიის ძარცვაში ეჭვმიტანილები დააკავეს



შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მეხუთე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ქურდობაზე ნასამართლევი, 1999 წელს დაბადებული დავით ლ. და 1997 წელს დაბადებული გიორგი ე. წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის ჯგუფურად გაქურდვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

დაკავებულებმა, 14 ოქტომბერს, ღამის საათებში, თბილისში, ქინძმარაულის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის კარი შეამტვრიეს და შესაწირის ყუთი გატეხეს, საიდანაც ფული მიითვისეს. დამნაშავეებმა ასევე ჯვრები, ხატები და საეკლესიო სხვადასხვა ნივთი გაიტაცეს. სამართალდამცველებმა, დავით ლ. და გიორგი ე. მომხდარიდან ორ დღეში დააკავეს. დავით ლ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას პატარა ხატები, გიშრით გაწყობილი ოქროს ჯვარი, ფსალმუნები, ორი კრიალოსანი, ძეწკვები და ბეჭედი, ხოლო გიორგი ე-ს ბინის ჩხრეკისას საეკლესიო სამაჯური და ასევე ბეჭდები ნივთმტკიცებად ამოიღეს. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

– იყენებენ იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც არ აწყობთ, უნდათ, რომ დააშინონ. ამ „პეშკებით“ გადიან ხალხზე, ისეთებზე, რომლებიც არიან ოპოზიციურად, კრიტიკულად განწყობილი მთავრობასთან მიმართებაში. მერე ეს ადამიანი მიდის, წამალს მოახმარინებს, ან ჩაუდებს შეკვეთილ პიროვნებას და ესაა მთელი სქემა. მთელმა პოლიციამ იცის ამ სქემის შესახებ.

**— ანუ, კონკრეტულად, პოლიტიკური ნიშნით გამორჩეული ადამიანების მიმართაა ეს სქემა?**

– კი, არის პოლიტიკური ნიშნით, მაგრამ არ ვამბობ, რომ 100%-ით პოლიტიკური ნიშნითაა. არიან კრიმინალები, რომლებსაც ვერ უმტკიცებენ დანაშაულს, და მათ საწინააღმდეგოდ იყენებენ, ასეთ დროს პირდაპირ წამალს უდებენ.




თამარ ქუთათელაძე

**— ფაქტებით მელაპარაკეთ, დამისახელეთ შემთხვევა, როცა რომელიმე პირი რაღაც წვრილმან დანაშაულზე დააკავეს და შემდეგ ის გამოიყენეს კონკრეტული ადამიანის, ან ადამიანების წინააღმდეგ.**

– მსგავსი ფაქტები რომ დავასახელო, მე აუცილებლად მჭირდება ნებართვა. ვიცი ასეთი ფაქტების შესახებ, მაგრამ ეს ადამიანები გარეთ არიან გამოსულები და არ მინდა პრობლემა შევუქმნა ვინმეს. იცით რამდენს უნდა ახლა თქვენთან მოვიდეს და ეს სახელები და გვარები თქვას?

**— მოვიდნენ მერე, რა უშლით ხელს?!**

– ეშინიათ. ხვალ პოლიცია მათ პირდაპირ ქუჩიდან აიყვანს და გვეყოლებიან ძალიან ბევრი „ერისთავები“.

**— დამისახელეთ ეს ადამიანები, ვინ არიან?**

– დაგისახელებთ რამდენიმე პიროვნებას. ესენი არიან: გიორგი, იგივე „მაცკა“, ცნობილია ვაკეში, ლაშა – იგივე „ჭუპო“, ეს არის „ნახალოვკელი“, ძმები როინიშვილები – ავლაბრიდან... დაბეჭდეთ, თუ ტყუილს ვამბობ, მიჩივლონ და პასუხს ვაგებ ცილისწამებისთვის. ამ ადამიანებს დაატარებენ და აყვირებენ აქციებზე. დღეს, ყველა სახელსა და გვარს ვერ მოგცემთ. მაგრამ მე შემიძლია, თითოეული უბნიდან მინიმუმ სამი ასეთი ადამიანი დაგისახელოთ, სახელებით, გვარებით და მისამართებით. მაგრამ ჯერ ავიღებ ნებართვას.

**— ნებართვას ვინ იძლევა თქვენთან?**

– უნდა ვითათბიროთ, მარტო ჩვენთან, ჩვენს კლუბში არაფერი არ წყდება. აუცილებლად გავახმოვანებთ, დროის ამბავია. როცა ამას გადავწყვეტთ, დამიჯერეთ, პირველი თქვენ იქნებით, მე დაგირეკავთ პირადად, პირობას გაძლევთ, რომ თქვენ მოგცემთ ექსკლუზივს. თავისი ფოტოებითა და მისამართებით. ამ ეტაპზე, რაც გითხარით, ესეც საკმარისია, მიხვდნენ, რომ სერიოზული ლაპარაკია.

**— თქვენ საიდან გაქვთ მათზე ეს ინფორმაცია?**

– დამიჯერეთ, ეს ინფორმაცია აქვს თბილისში ახალგაზრდობის 80%-ს. უბნებში იცნობენ, მაგრამ ეშინიათ, რომ თქვან. აი, ის, რასაც გიყვებით, შევარდნაძის დროინდელი პრაქტიკაა, რომელიც ძალას იკრებს.

**— მგონი, აგერიათ, ეს მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს ხომ არ ხდებოდა?**

– კარგი, კარგი... ეს პრაქტიკა, წამლის ჩადების, ბოლო წლებში, ასე თუ ისე, მომსპარი იყო, გეთანხმებით, თავიდან ეს პრაქტიკა ჰქონდა სააკაშვილის ხელისუფლებას, ინერციით გამოჰყვათ შევარდნაძის ხელისუფლებისგან, მაგრამ მერე მიივიწყეს ეს პრაქტიკა.

**აქ, უკვე, არჩილ ხარბედიამ კონკრეტულ სქემაზე საუბარი დაასრულა და ზოგადპოლიტიკურ საკითხებზე ვისაუბრეთ.**

– მე ვარ „ნაციონალური“ მოძრაობის წევრი, ამას არც ვმალავ, „პიკასოს კლუბი“, არ არის ტიპური არასამთავრობო ორგანიზაცია. ეს უფრო პოლიტიკური კლუბია, ჩვენი კლუბის ნახევარზე მეტი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია. მოვა დრო, როცა, ერთ პლატფორმაზე მდგომი ორგანიზაციები, აუცილებლად გავერთიანდებით, მიმდინარეობს პროცესი და ეს არ არის გაჩერებული. ჩვენ გვაქვს შეხების წერტილები ერთმანეთთან, თუ ასე გაგრძელდა საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება, ჩვენ გავერთიანდებით ან პარტიად, ან სხვა ფორმას მივცემთ, რადგანაც 30-კაციანი ჯგუფებით ამ მთავრობას ვერ დავუპირისპირდებით.

ქვეყანაში კრიმინალმა ისე იმატა და ისეა გაუარესებული ყველაფერი, რომ ჩვენ ვერ გავჩერდებით, ცუდის კეთებაში ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გადაუსწრო ყოფილ ხელისუფლებას, გააათმაგა. სააკაშვილის პერიოდში გახსოვთ ოდესმე, რომ ადამიანი „დაეუთოებინათ?“

**— სააკაშვილის პერიოდში, მახსოვს, რომ ახალგაზრდებს ხვრეტდნენ ქუჩებში, უკანონოდ აპატიმრებდნენ, ქონებებს ართმევდნენ... მოდი, ნუ შევადარებთ ამ ორ ხელისუფლებას, დანაშაულების სიმძიმე და რაოდენობა, ბევრად განსხვავებულია ერთმანეთისგან.**

– თუ ასე იყო, მაშინ, მარტო ბაჩო ახალაია და ვანო მერაბიშვილი რატომ აგებენ პასუხს, სხვები სად არიან, რატომ არ სთხოვენ მათ პასუხს, რატომ არ არიან დასჯილები. თუ დამკვეთი უნდა დაისაჯოს, უნდა დაისაჯოს შემსრულებელიც, მაგრამ არ სჯიან იმიტომ, რომ მათ დღეს ხელისუფლება იყენებს.

**— რაში იყენებს?**

– კორტავას საქმე გაიხსენეთ, პირდაპირ, ადმინისტრაციამ შეუკვეთა და ბიჭი მაყურებლებს მოაკვლევინეს.

**აქ საუბარს ვასრულებთ და არჩილს დავემშვიდობე. ოფისის მისაღებში მსხდომ ადამიანებსაც მინდოდა დავმშვიდობებოდი და... როგორც კი ზემოხსენებულმა ბაჩო გვანცელაძემ დამინახა, რომ გავდიოდი, საოცარი სისწრაფით წამოხტა ფეხზე და აღელვებული ხმით აყვირდა.**



ბაჩო გვანცელაძე

– მე თქვენ გისმენდით, თქვენ არ ხართ ჟურნალისტი, თქვენ ხართ მხარე! თქვენ იცავდით ხელისუფლებას! ერთ კითხვას დაგისვამთ და თუ არ მიპასუხებთ, ჩავთვლი, რომ თქვენ აღარ ხართ ჟურნალისტი. გაიხსენეთ, წინა ხელისუფლების დროს, ბოლოს როდის „დააუთოეს“ კაცი?

**— ბატონო ბაჩო, ჯერ დამშვიდდით, ხმას დაუწიეთ, ნუ მიყვირით... ვთვლი, რომ არ ვიმსახურებ. ალბათ, იქნებოდა, მაგრამ მე დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვი, სააკაშვილი რომ ხელისუფლებაში მოვიდა, მე ბავშვი ვიყავი და ასეთი საკითხების სტატისტიკას არ ვაგროვებდი. საერთოდაც ლოგიკურია, როცა ხელისუფლება რაღაც პრობლემას ებრძვის, თუნდაც „ადამიანის დაუთოების“ ფაქტებს, ე.ი. მსგავსი ფაქტები ბუნებაში არსებობს! და კიდევ, ასეთ დროს, როცა თეთრზე გეუბნებიან, შავიაო, აუცილებლად უნდა იყო მხარე, უბრალო, მოქალაქეობრივი თვითშეგნების გამო მაინც.**

მაინც დავემშვიდობე, კეთილი სურვილებით. განერვიულებული ბაჩო გვანცელაძე ყვირილს აგრძელებდა, მაგრამ აღარ მესმოდა, რას ამბობდა... ალბათ, კიდევ უფრო განერვიულდა, რადგან ვფიქრობ, გამიზნული პროვოკაცია ჩაუვარდა.

ოფისიდან არჩილ ხარბედიამ გამომაცილა, რომელმაც მომხდარი შელაპარაკების გამო მრავალგზის მოიხადა ბოდიში. არჩილის ბოდიშში არ არის საქმე, მაგრამ ბოდიში ვინც უნდა მოიხადოს, ვიმედოვნებ, მალე მოიხდის.

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80

**რედაქციისგან: მართალია „პიკასოს კლუბის“ წევრი არჩილ ხარბედია, მარტო ბაჩო ახალაია, ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა საკმარისი არ არის, მთელი „ნაცბანდა“ უნდა იჯდეს მათ გვერდით. სწორედ ეს იყო ქართველი ხალხის ოცნება, მოთხოვნა. იქაც მართალია ხარბედია, შემკვეთებიც და შემსრულებლებიც გამოვლენილნი და დასჯილნი უნდა ყოფილიყვნენ აქამდე. ამას რომ არ აკეთებს „ოცნება, სწორედ ამას არ პატიობს ამომრჩეველი, ე.წ. კოჰაბიტაციას. ცხადია, ამაზრზენია და სასტიკად დასასჯელი, თუკი „ნაცების“ პრაქტიკას ვინმე ბედავს და დღესაც აგრძელებს. რაც აუტანელი იყო „ნაცებისგან“, ის ასატანი ვერ გახდება „ოცნებისგან“, თუნდაც უარესს იმსახურებდეს.**

**ასევე, მართალია ბაჩო გვანცელაძე, ვის რაში სჭირდებოდა სახლებში ვინმეს „დაუთოება“? მთავარი კრიმინალები ხელისუფლებაში იყვნენ და ყოველგვარი „დაუთოების“ გარეშე იღებდნენ ფულსაც და სულსაც, კლავდნენ და აუპატიურებდნენ, ვინც არ ემორჩილებოდათ. რომელი წვრილფეხა კრიმინალი გაბედავდა მაგათი შიშით რამეს და თუ ვინმეს ხელი წაუცდებოდა, სასტიკად უსწორდებოდნენ, ჩუმად, „გატელევიზორების“ გარეშე, თუმცა ამის შესახებ მთელმა უბანმა და „შავმა სამყარომ“ იცოდა.**

**რაც შეეხება „მხარეს“, საოცარი ის იქნება, 9 წლის განმავლობაში, გაზეთი, ჟურნალისტი, ამდენი საშინელების შემყურე, ურეაქციო, ნეიტრალურ, ფეხებზემკიდია პოზიციაზე დარჩეს. და ეს რომ ასე არ იყოს, ხელისუფლებაში კვლავ „ნაციონალებს“ მოიყვანდა ხალხი.**

**დაბოლოს, შსს, ალბათ, დაინტერესდება, ვინ არიან ვაკელი „მაცკა“, „ნახალოვკელი“ „ჭუპო“ და ავლაბრელი ძმები როინიშვილები და რამდენად შეესაბამება რეალობას რესპონდენტის ბრალდებები.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „მაშკევიჩი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მიმართულების მონოპოლიას ითხოვდა“



საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ალექსანდრე მაშკევიჩს პოსტ-საბჭოთა ოლიგარქს უწოდებს. ისრაელში მოღვაწე ბიზნესმენი, რომელიც საქართველოში ფარმაცევტული ბიზნესით ინტერესდება, სააკაშვილმა ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე ამ სიტყვებით მოიხსენია.

მიხეილ სააკაშვილი ირწმუნება, რომ მაშკევიჩი მისი პრეზიდენტობის დასაწყისში საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მიმართულების მონოპოლიას ითხოვდა, რაზეც უარი მიიღო, ახლა კი მას გზა გაუხსნეს. ამ თემაზე მიხეილ სააკაშვილმა „კატოს“ პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტში საერთაშორისო კონფერენციაზე ილაპარაკა.

შეხვედრა პოსტკომუნისტური ქვეყნების განვითარების გამოცდილებას მიეძღვნა. ექსპრეზიდენტმა აქცენტი იმ წარმატებებზე გააკეთა, რომელსაც საქართველომ ბოლო წლებში მიაღწია.

ვაშინგტონის შეხვედრის ტრანსლირება თბილისში საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში ხდებოდა, რომელსაც სტუდენტები ესწრებოდნენ.

ალექსანდრე მაშკევიჩი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მეგობარია. ბიზნესმენი საქართველოში რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან უკვე გამართა არაფორმალური შეხვედრები. მთავრობის წევრები შეხვედრის დეტალებს არ ახმაურებენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ქვეყანას „შიზოფრენიკი“ მართავს



დედაქალაქის ყოფილი მერი ქვეყანაში შექმნილ ვითარებას კრიტიკულად მძიმედ აფასებს. გიგი უგულავას მიაჩნია:

„ქვეყანაში სიტუაცია მართლაც საგანგაშოა, იმიტომ, რომ ქვეყანას მართავს, პირდაპირი მნიშვნელობით, „შიზოფრენიკი“, ჩაუწიეთ და ისე შეხედეთ. ეს კრიტიკული შემთხვევაა, თვითონ შემთხვევა, ამ ადამიანის ქცევა სცდება ჯანსაღი ადამიანის ყოველგვარ სტანდარტებს.

ჩემი აზრით, გამოსავალი არის და ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, რომ თვითონ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ თუ იქ კიდევ ვინმეს ჯანსაღი აზრი აქვს შერჩენილი, თვითონ დაიწყოს პროცესი იმისა, რომ ხელისუფლებას ჩამოაშოროს ღარიბაშვილი და, შესაბამისად, ივანიშვილი.

აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ის, რაც ელანდებათ ამ ადამიანებს, ხვალ „ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში“ დაბრუნდება, „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად თუ მოსასვლელად მზად არ არის, მას ჯერ კიდევ ბევრი განსაწმენდელი აქვს გასავლელი.

თუ ეს ყველაფერი თვითონვე არ ალაგმა და თუ არ მოძებნა „ქართულმა ოცნებამ“ ძალა, თუნდაც შიგნით, ქვეყანა ძალიან სახიფათო მიმართულებით მიდის და ამას მერე ველარავინ ველარ გააჩერებს“, – განაცხადა უგულავამ. (ნიუპოსტი)

# მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში ბრუნდება

დასასრული.
დასაწყისი წინა ნომერში

**მესამე** — განვითარების, მაგრამ იმავდროულად თანაგრძნობის ეკონომიკა.

დიახ, ეს იქნება წარმატებული საქართველოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. როგორ გავაგრძელოთ საყოველთაო ალმშენებლობა, როგორ განვავითაროთ ინფრასტრუქტურა, გავაჩინოთ ახალი შესაძლებლობები ჩვენი მოქალაქეებისთვის და, ამავე დროს, მოვახერხოთ, რომ ეკონომიკური განვითარებით მოტანილი სიკეთეების მიღმა არ დარჩნენ ის ადამიანები, ვისაც ჩვენი ზრუნვა და თანადგომა სჭირდებათ. ჩვენ ზუსტად ვიცით, რა უშველის ქართულ ეკონომიკას. ეს სრულიად საპირისპიროა იმ პოლიტიკისა, რასაც საქართველოს მთავრობა ატარებს. მაგრამ ამავე დროს აშკარაა, რომ ეკონომიკური განვითარების ის კურსიც, რომელსაც ჩვენ ვარდების რევოლუციის შემდგომ მივყვებოდით, საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჩვენ უნდა შევქმნათ მექანიზმები, რათა ეკონომიკური განვითარება უფრო მალე და უფრო საგრძნობად აისახოს თითოეული ოჯახზე.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მხოლოდ ლიბერალური, გახსნილი ეკონომიკა, მხოლოდ ძლიერი ბიზნესი და ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა არის ერთადერთი გზა წარმატებისკენ. მემარცხენე რადიკალიზმი არ მუშაობს არსად, მით უმეტეს, საქართველოსნაირ ღარიბ ქვეყანაში. ფუჭი ოცნებაა, რომ მოვა ვიღაც მდიდარი კეთილი ბიძია და საკუთარი ჯიბიდან დაგვაპურებს და აგვაშენებს. უკანასკნელმა ორმა წელიწადმა ამაში ყველანი საბოლოოდ დაგვარწმუნა.

ერთადრეთი სწორი კურსი არის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის იდეალების პირუთვნელი დაცვა, გახსნილი შესაძლებლობებით, მინიმალური საგადასახადო წნეხით, დაცული ბიზნესითა და მარტივი, მავნე რეგულაციებისგან თავისუფალი კანონმდებლობით. მაგრამ ისე, რომ მზრუნველობისა და თანაგრძნობის გარეშე არ დარჩეს არც ერთი მოქალაქე, ვინც თანადგომას საჭიროებს. სწორედ ეს არის ჩვენი მომავალი საფიქრალი — როგორ განვავითაროთ ეკონომიკა ისე, რომ ეს სწრაფად და საგრძნობად აისახოდ თითოეულ ოჯახამზე?

**მეოთხე** — დეცენტრალიზაცია.

როგორ გავაკეთოთ ისე, რომ მთელი საქართველო თანაბრად და სწრაფად ვითარდებოდეს? რომ ყველა სოფელს თავად მიეცეს განვითარების საშუალება? ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება ჩვენი ახალი დღისათვის. ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება, რომ რეგიონები და პერიფერიები მივატოვოთ და მარტო ცენტრები განვავითაროთ. საქართველოს ყველა რაიონს ესაჭიროება განვითარების სტიმულირება. ავად თუ კარგად, ჩვენ სწორედ ამის გაკეთებას ვცდილობდით და ვაკეთებდით კიდეც, როგორც შეგვეძლო. ამისთვის ვაჩენდით ახალ ტურისტულ კერებს, ამ მიზანს ემსახურებოდა სიღნაღის, მესტიის, ახალციხისა და სხვა ქალაქების აღდგენა-გალამაზება, ამისთვის გაგვყავდა ახალი ტრასები, ვაშენებდით ახალ აეროპორტებს და სარკინიგზო ხაზებს.

ჩვენი კურსი იყო სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაცია, როგორც სტრუქტურული, ასევე გეოგრაფიული თვალსაზრისით. დღევანდელი მთავრობა აქილიკებს პარლამენტის ქუთაისში არსებობას, მაგრამ წარმოიდგინეთ რამდენი აქტივობა მოუტანა თითქმის ჩამკვდარ ქუთაისს პარლამენტმა, რამდენი ადამიანი დაასაქმა და რამდენ ახალგაზრდას გაუჩინა წარმატების მანამდე არარსებული შანსი.

მჯერა, რომ ახალმა საქართველომ ეს კურსი უნდა გააგრძელოს. ჩვენი ქვეყანა გეოგრაფიულად პატარაა, მაგრამ ფიზიკური სიმცირე არ ნიშნავს აუცილებლად სისუსტეს. პირიქით, ჩვენი გეოგრაფიული სიმცირე ჩვენ უპირატესობად უნდა ვაქციოთ, და ისე მოვაწყოთ ქვეყანა, რომ იგი ერთდროულად ვითარდებოდეს ცენტრშიც და პერიფერიაშიც. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიმართულებით გაცილებით მეტის გაკეთება შეგვიძლია.

**მეხუთე** — შეუწყნარებლობისგან თავისუფალი, ეროვნულ, ტოლერანტულ ტრადიციებზე დაფუძნებული საზოგადოება.

ნანატრი საქართველო მხოლოდ თავისუფალი მოქალაქეების ხელით აშენდება რომლებსაც არავინ შეუზღუდავს აზრის, იდეის, შემოქმედებითი ალმაფრენის თავისუფლებას, უფლებას უყვარდეს, გააჩნდეს მისთვის სასურველი იდეალები. შეუძლებელია, წარმატებას მიაღწიოს საზოგადოებამ, თუ იგი დადაღულია შეუწყნარებლობის იარებით. მეტიც, განწირულია საზოგადოება, რომელშიც უმცირესობა ძალადობის მსხვერპლია, რომელშიც ღირსების აღსადგენად ურტყამენ ქალს, უფლის სახელით დევნიან ადამიანებს განსხვავებული რწმენისა ან ორიენტაციისთვის, ურტყამენ პოლიტიკურ ან სამოქალაქო აქტივისტებს საკუთარი პოლიტიკური შეხედულებებისთვის, რომელშიც სკოლის უკან ურტყამენ ბავშვს, იმიტომ, რომ უბნის ყოჩებს ფული არ მიუტანა.

მე არ მესმის როგორ უნდა განვითარდეს საზოგადოება, თუ იგი არ გათავისუფლდა ამგვარი ძალადობისგან. ჩემი პრეზიდენტობის დროს, მეტნაკლებად გავათავისუფლეთ ქვეყანა ექსტრემისტებისა და მოძალადეებისგან, მაგრამ ვაცნობიერებ, რომ საზოგადოება ხშირად არ ამართლებდა იმ ფორმებს, რომლითაც ჩვენ ამას მივაღწიეთ. დღევანდელმა ხელისუფლებამ ასეთი ექსტრემისტები და მოძალადეები „პოლიტპატიმრის" პატივით გაათავისუფლა. შედეგმაც არ დააყოვნა და კარგად ვხედავთ, რაც ხდება ქვეყანაში, რა მიზნებს ემსახურებიან ეს ადამიანები...

მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ მომავალზე, ჩვენი მეთოდების არგამართლება არ ნიშნავს რომ ან ჩვენი მიზანი იყო არასწორი, ან რომ ამ მიზნის მიღწევის უკეთესი გზები არ უნდა ვეძიოთ ერთად, მთელმა საზოგადოებამ. საჭიროა მოვიფიქროთ ახალი მოდელი, რომელიც ერთის მხრივ გამორიცხავს შეუწყნარებლობასა და ძალადობას, ხოლო მეორეს მხრივ ამას გააკეთებს ისე, რომ საზოგადოებამ არ დაკარგოს პროცესისადმი ნდობა. საზოგადოება აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ სნეულებათა განკურნების საქმეში, სახელმწიფოსთან ერთად. საჭიროა, გრძელვადიანი ხედვა, რომელიც ასევე გულისხმობს განათლების სისტემის კონცეფტუალურ განახლებასაც, რათა მომავლის საზოგადოებაში საღი, ნათელი აზრი გამარჯვებული იყოს ყოველთვის, როდესაც მას დაუპირისპირდება ძალადობა, შეუწყნარებლობა და სიბნელე.

**მეექვსე** — ევროპული საქართველო

ევროპა და დასავლური კურსი არის ის ერთადერთი გზა, რომელიც მიგვიყვანს თავისუფალ, მთლიან და დაცულ საქართველომდე. ჩვენი რთული საერთაშორისო მდგომარეობა არ შეიცავს ნაცრისფერ ზონებს. საბედნიეროდ, ყველაფერი ცხადად არის გაყოფილი შავად და თეთრად. ჩვენ გვყავს აშკარა მტერი რუსეთის სახით და აშკარა მოყვარე დასავლეთის სახით. ჩვენ წინ არის მხოლოდ ორი არჩევანი: ან გზა რუსეთთან ურთიერთობის ე.წ. დალაგებისა ან გზა ინტენსიური ევროპეიზაციისა. არავის უნდა ეპარებოდეს ეჭვი, რომ პირველი გზა – რუსეთთან ურთიერთობის ე.წ. დალაგების გზა მთავრდება საქართველოს სუვერენიტეტის და ღირსების სრული გათელვით, ხოლო მეორე, ანუ საქართველოს უკომპრომისო ევროპეიზაციის გზა მთავრდება თავისუფალი, თანამედროვე, მდიდარი საქართველოს აშენებით. ამაზე ცხადი შეუძლებელია იყოს საგარეო-პოლიტიკური არჩევანი. მაგრამ ეს სიცხადე გულისხმობს ან ერთი გზის არჩევას ან მეორის. შუალედური გზა არ არსებობს. ცრუობს ყველა, ვინც გვიმკიცებს, რომ არსებობს მესამე, კომპრომისული გზაც. სანამ რუსეთს პუტინი და ფ-ესბე მართავს, სანამ იგი აგრძელებს ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას, ჩვენ არ გვაქვს უფლება ჩავაბაროთ მას საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტები. ჩვენ არ გვაქვს უფლება მივცეთ მას აგენტურული ქსელის გაშლის საშუალება, არ გვაქვს უფლება შემოვუშვათ მისი პოლიტიკური, კულტურული თუ იდეოლოგიური გავლენა ჩვენს ქვეყანაში.

არ გეგონოთ, რომ კულტურულ გავლენაში რესტორნებში რუსული სიმღერებს ვგულისხმობ. ყველაფერი გაცილებუთ უფრო კომპლექსურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს რუსული კულტურულ გავლენაში, მე პირველ რიგში ვგულისხმობ რუსულ პოლიტიკურ კულტურას, სახელმწიფოს მართვის კულტურას. ჩემის აზრით, ჩვენ სწორედ ამ კულტურის წინააღმდეგ გამოვედით ქუჩებში ვარდების რევოლუციის დროს. შეიძლება ვცდები, მაგრამ სამწუხაროდ, ძალიან ბევრ რამეში ვხედავ ამ კულტურის დაბრუნებას საქართველოში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ მივიღეთ ოლიგარქიული მმართველობის რუსული მოდელი. არ შეიძლება თავი მოვიტყუოთ და დავიჯეროთ რუსეთის კეთილი განზრახვები. ჩვენი გზა გადარჩენისკენ არის ინტენსიური, დაჩქარებული ევროპული ინტეგრაცია. მათ შორის არა მხოლოდ პოლიტიკური არამედ ეკონომიკური. რუსეთის ეკონომიკურ ორბიტაზე დაბრუნების ნაცვლად, ჩვენ მაქსიმალური ტემპებით უნდა გადავაწყოთ ეკონომიკა ევროპაზე, ქართული ეკონომიკის ინტენსიური მოდერნიზაციის გზით. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპა არ არის მხოლოდ გეოგრაფიული განზომილება ან პოლიტიკური-ეკონომიკური კავშირი.

უპირველეს ყოვლისა, ევროპა არის იდეა — თავისუფლების, გახსნილობის, მშვიდობის, ადამიანის უფლებათა დაცვის და განსხვავებული აზრის პატივისცემის იდეა. ამ იდეის შემეცნება იქნება მთავარი განმაპირობებელი იმისა, თუ რამდენად წარმატებით ან წარუმატებლად შევძლებთ ჩვენ, როგორც საზოგადოება, ევროპის გზაზე სვლას. ჩვენ ვერ დავბრუნდებით ევროპაში, სანამ თითოეული ქართველი არ იგრძნობს თავს ევროპელად. ევროპეიზაცია უნდა იყოს არა ერთი პარტიის ან ხელისუფლების მიერ თავს მოხვეული ახირება, არამედ მთელი საზოგადოების გულწრფელი მისწრაფება, რომელიც თავის თავში გულისხმობს როგორც თავისუფლებას და კეთილდღეობას, ასევე ჩვენი თვითმყოფადობისა და ტრადიციების შენარჩეუნებას.



**მეშვიდე** — დაბალანსებული ხელისუფლება

შეგვიძლია ვიფიქროთ კონსტიტუციურ მოდელზეც, თუმცა მე მიმაჩნია, რომ საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, ძლიერი პარლამენტით, რომელიც ჩვენი შემუშავებულია, არის ყველაზე სწორი მოდელი საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის. მე მართლა მიმაჩნია, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი უნდა იყოს პარტიულად მიუკერძოებელი არბიტრი, რომელიც გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ნებას და უზრუნველყობს კონსტიტუციურ ბალანსს ქვეყანაში.

რა თქმა უნდა, მე ვგულისხმობ პრეზიდეტს იმ უფლებებით, რომელიც მას ახალმა კონსტიტუციამ განუსაზღვრა და არავითარ შემთხვევაში იმ დამამცირებელი შეზღუდვებით, რითაც ეხლა მთავრობა აბუჩად იგდებს ხალხის არჩევანით ლეგიტიმიზირებულ უმაღლეს პოლიტიკურ ინსტიტუტს.

თუმცა უკვე გადაშლილი ისტორიული ფურცლების გამოცდილების გათვალისწინებით, ჩვენ აუცილებლად უნდა შევიმუშავოთ სახელმწიფოს მართვაზე საზოგადოებრივი კონტროლის ისეთი მოდელი, რომელიც უზრუნველყობს სახელისუფლო შტოებსა შორის მაქსიმალური ბალანსისა და კონტროლის მექანიზმების უწყვეტ მუშაობას. ახალ საქართველოში, უკონტროლო და დაუბალანსებელი აღარ უნდა იყოს არცერთი სახელისუფლო ორგანო, არცერთი პოლიტიკური ფიგურა თუ უწყების ხელმძღვანელი. ეს ის თემებია, რაზეც თქვენგან ველი რჩევებს, მოსაზრებებსა და იდეებს. ნუ მივეცემით სასოწარკვეთას. თუ ყველა გასაჭირს ისე შევხედავთ, როგორც გაკვეთილს, როგორც ახალ შესაძლებლობას, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. ჩვენს სამშობლოს არ სჭირს უკურნებელი სენი. ჩვენი სახელმწიფო სხეული აუცილებლად გაჯანსაღდება. ის რაც ახლა გვჭირს, ძველი ავადმყოფობისგან შემორჩენილი ვირუსია, რომლისგანაც აუცილებლად განვიკურნებით და მომავალში უფრო ძლიერი იმუნიტეტი გვექნება. ერთი წამით ნუ შეგეპარებათ ეჭვი იმაში, რომ საქართველოს საუკეთესო დღეები წინ არის. თუმცა დღევანდელ პრობლემებს თვალი უნდა გავუსწოროთ. მიუხედავად მსოფლიო ლიდერების არაერთი თხოვნისა და გაფრთხილებისა, რომ ნაცვლად პოლიტიკური რეპრესიებისა, ხელისუფლებას აერჩია განვითარების და მომავლის კურსი, ივანიშვილის მთელი პროგრამა ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს – ოპონენტებისა და განსხვავებული პოლიტიკური აზრის წაშლას.

მან გადაწყვიტა გააკეთოს ის რაც საქართველოში აქამდე არავის უცდია – მთლიანად გაანადგუროს ოპოზიაცია და საქართველოში დაამყაროს რუსული პროვინციული დიქტატურის მოდელი, სადაც კულისებს, კონსტიტუციასა და პასუხისმგებლობის მიღმა, არნახულ ფუფუნებაში ცხოვრობს ოლიგარქი და პირადად აკონტროლებს ყველასა და ყველაფერს მთელს ქვეყანაში, მათ შორის იმას, თუ რა აზრი უნდა არსებებდეს მის შესახებ ხალხში, რა აზრები უნდა ებადებოდეთ ჟურნალისტებსა თუ ექსპერტებს.

აშკარაა, რომ ივანიშვილის მიერ აღებული კურსი შეუქცევადია და იგი მხოლოდ უფრო და უფრო მეტი რეპრესიებისკენ წავა. ხელისუფლებამ უკვე მთელი ოპოზიციის წინააღმდეგ აღძრა საქმე სახელმწიფო გადატრიელების ბრალდებით. მაგრამ „კუდიანების" წრე სულ უფრო გაფართოვდება. შემდეგი სამიზნე აუცილებლად გახდებიან ჟურნალისტები და თავისუფალი მედია. ძალიან მალე ჭორვილური პოლიტიკური გემოვნებით განისაზღვრება ის თუ ვინ უნდა იყოს მორიგი ქვეყნის მტერი. ჩვენ უკვე გვესმის და მომავალში სულ უფრო და უფრო მეტად მოვისმენთ ხელისუფლებისგან რუსულ-ბოლშევიკურ და იანუკოვიჩურ რიტორიკას, და ვიხილავთ ბოლშევიკური რეპრესიების გატარების მცდელობებს. მაგრამ რა არის ამის შედეგი? შედეგი არის გაჩერებული და დასუსტებული საქართველო. შედეგი არის შეშინებული ხელისუფლება, რომელსაც უკვე ყველა მხრიდან შეთქმულება ელანდება... და გარდაუვალი შედეგი იქნება ჭორვილელი დიქტატორის დამხობა. ხელისუფლების შიშები სულ უფრო აგინიურ ფორმას შეიძენს და ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. მაგრამ ჩვენ არც ადრე გვაშინებდა და არც მომავალში შეგვაშინებს ქარტეხილები. ოლიგარქის აპოლოგეტები უკვე ისე საუბრობენ ოპოზიციის ხელისუფლებაში დაბრუნების „მზაკვრულ განზრახვაზე", რომ თითქოს ამაში რაიმე იყოს არაბუნებრივი ან ანტიკონსტიტუციური. დიახ, „ნაციონალური მოძრაობა" არც რეპრესიებს უშინდება, არც პასუხისმგებლობისგან იხევს უკან და არც თავის პროდასავლურ იდეალებს ღალატობს. „ნაციონალური მოძრაობა" არის ის ძალა, რომელმაც ერთხელ უკვე ამოიყვანა ქვეყანა ბნელი ჭაობიდან და მჯერა, რომ იგი მომავალშიც შეძლებს გადაარჩინოს საქართველო, როდესაც საქართველოს მოქალაქეები მისცემენ მას ამ დავალებას და ანდობენ ქვეყნის ხელახალ ამუშავებას. დიახ, „ნაციონალური მოძრაობა" იბრძოლებს ამ ნდობის განსამტკიცებლად იქ სადაც იგი მთელია და აღსადგენად, იქ სადაც იგი გატეხილია. მაგრამ მომავალი, ახალი, უფრო გამართული საქართველოს აშენება არ არის მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალისა თუ ერთი ლიდერის გასაკეთებელი საქმე. მომავალი საქართველოს ჩემი ხედვა, წარსულისაგან განსხვავებით და მიღებული გამოცდილებით, ეფუძნება მხოლოდ საერთო სამოქალაქო კონსენსუსის პრინციპს, სადაც შენებაში ჩართულია მთელი საზოგადოება, თავისი მრავალფეროვნებებით და მაქსიმალური წარმომადგენლობით, თავისი პოლიტიკური განსხვავებებით, მაგრამ ერთიანი იდეით – ავაშენოთ თანამედროვე, ევროპული საქართველო, მაღალი პოლიტიკური კულტურითა და სტაბილური დემოკრატიული ტრადიციით. ჩვენი მომავალი გამარჯვება არ იქნება მხოლოდ ერთი პარტიის გამარჯვება — ეს იქნება ქართული სახელმწიფოს იდეის გამარჯვება. გამარჯვება იმ მთავარი აზრისა, თუ რატომ გვინდა როგორც ერს, რომ გაგვაჩნდეს სახელმწიფოებრიობა. ეს იქნება სამოქალაქო საზოგადოების დაბრუნება, ეს იქნება წარსულის წარმატებებზე და წარუმატებლობებზე მიღებული დიდი გამოცდილების გაკვეთილების გააზრება. ეს იქნება საზოგადოების მთელი ჯანსაღი ნაწილის გამარჯვება. ნაწილისა, რომელსაც ესმის როგორ მუშაობს თანამედროვე სამყარო, კარგად ხედავს თუ სად არის მასში საქართველოს ადგილი და როგორ უნდა დავიცვათ ჩვენი ეროვნული ინტერესები, ჩვენი ღირსება. მე მჯერა, რომ ეს იქნება საქართველოს დაბრუნება სინათლისა და ოპტიმიზმის გზაზე – ეს იქნება ახალი დღე საქართველოში.

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილე რეზიკო რობაქიძე ცეკვისას მძიმედ დაშავდა



„ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მარიამ სანოგოს მეწყვილეს რეზიკო რობაქიძეს მძიმე ტვინის შერყევა აქვს. რეზიკომ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ სცენაზე, პირდაპირ ეთერში დაარტყა თავი, თუმცა მაყურებელი ვერაფერს მიხვდა. კადრებში კარგად ჩანს, როგორ მძიმედ არტყამს თავს იატაკს რეზიკო ცეკვის დასაწყისში, თუმცა ყველამ, როგორც დადგმული სცენა ისე აღიქვა. მისი დაცემის ამბავი, მარტო ჩერტკოევს შეუმჩნევია და შეფასების დროს ხუმრობითაც აღნიშნა. ამ დროს რეზიკო თურმე გათიშული იყო და არაფერი ახსოვს.

მიუხედავად ყველაფრისა და მოცეკვავის თავის შერყევის სიმძიმისა, რეზიკო პროექტის მიტოვებას არ აპირებს. როგორც ექიმები ეუბნებიან ორი კვირა უნდა იწვეს, მაგრამ ხვალიდან უკვე რეპეტიციების დაწყებას გეგმავს. **PrimeTimeNews**-ი რეზიკოს დაუკავშირდა.

რეზიკო რობაქიძე: ახლა ვწევარ, მძიმე ტვინის შერყევა მაქვს. დავარდნის სცენა დადგმული იყო, მაგრამ რომ უნდა გადავვარდნილიყავი ქუსლი ჩამიცურდა, ან კიბეებზე ვეცემოდი, ან უნდა გადავმხტარიყავი და რომ გადავხტი, თვით დავეცი. არაფერი მახსოვს, იმ საღამომ როგორ ჩაიარა, ვინ გავარდა პროექტიდან, ახლა ნელ-ნელა ვიგებ ხალხისგან, რომ მიყვებიან. გონებაზე არ ვიყავი. წესით, ორი კვირა უნდა ვიწვე, მაგრამ ხვალ ავდგები და გავალ რეპეტიციებზე. არ შეიძლება, მაგრამ სხვანაირად არ გამოდის.

***primetimenews.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## რას წერენ ქეთათოს ირაკლი ჩარკვიანზე — „არ შემიძლია, არ გითხრათ, ირაკლითი ვცოცხლობ, უიმისოდ წუთი არ მახსოვს“



ქეთათო ჩარკვიანი სოციალურ ქსელში პირადში მიწერილ წერილს ასაჯაროებს.

– ეს ტექსტი ინბოქსში მომწერეს და იმდენად იმოქმედა, რომ „დავაშეარე“, პირველივე კომენტარში მივუთითე, რომ სალომეს ეკუთვნის და მადლობა გადავუხადე ამაღელვებელი სიტყვებისთვის, – წერს ქეთათო და წერილს აქვეყნებს: არ ვიცი, შეიძლება საერთოდ არ გაინტერესებთ, მე რას ვგრძნობ, ან რას ვფიქრობ, მაგრამ არ შემიძლია, რომ არ გითხრათ. თავს ძალას ვატან, რომ თქვენობით გელაპარაკოთ, იმდენად ახლო ხართ ჩემთვის. არ ვიცი, როგორ დავიწყო, იმდენი რაღაცის თქმა მინდოდა და უცებ ყველაფერი დამავიწყდა. ალბათ, ძალიან უზრდელი ვიქნები, რომ გითხრათ, ირაკლიზე მესაუბრეთ-მეთქი. მაგრამ უნდა გითხრათ! ერთი ისეთი რაღაც მაინც რომ მითხრათ, რაზეც არსად არ წერია, ყველაზე ბედნიერი ვიქნები! მე ირაკლითი ვცოცხლობ. უკვე რამდენი წელია, მის გარეშე არც ერთი წუთი არ მახსოვს. იცი? ხანდახან მგონია, რომ ვიცნობდი და ვიცნობ ახლაც. იმდენად რეალურად ვგრძნობ ჩემ გვერდით ყოველთვის. ყველაფერი მაქვს წაკითხული, რისი საშუალებაც არის და ვერ ვძლები, უფრო მეტი მინდა, რომ ვიცოდე. უფრო მეტი! იცით, მე არც ირაკლის მაიკები მაქვს და არც ირაკლის სურათი მაქვს გაკრული ოთახში, რადგან ეს არ მჭირდება, არ ვცდილობ იმას, რომ „ვიბლატავო“ ირაკლის სიყვარულით, ეხლა ხომ ეს მოდაშია. ყველაზე მეტად მიყვარს ირაკლი, იმდენი რაღაც მასწავლა! იმდენად ახლოს არის ჩემთან! მაპატიეთ, თუ რამეს არასწორად ვაკეთებ, იქნებ არც უნდა გწერდეთ. მაგრამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ უნდა ვცადო! არ მეშინია არც უპასუხოდ დარჩენის და საერთოდ არაფრის. რაც მოსახდენია, ის მოხდება მაინც, ეს ვიცი. მიყვარხართ და ვამაყობ თქვენით. მადლობა, რომ ხართ, – აქვეყნებს ქეთათო „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.



***pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ვის მოენატრა საქართველოში სოფო ნიჟარაძის ჟღურტული — „ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი...“



მომღერალმა სოფო ნიჟარაძემ სოციალურ ქსელში ახალი სელფი გამოაქვეყნა, სადაც ჩანს, რომ მოწყენილია. არ დააყოვნა მეგობრების კომენტარებმაც და უამრავმა მათგანმა დაწერა, რომ ძალიან ენატრება. იყვნენ ისეთებიც, ვინც კითხულობდა, ვინ გააბრაზა მომღერალი.

სოფია საქართველოში რომ ბევრს ენატრება, ეს სოციალურ ქსელში შექმნილი გვერდიდან „ჩვენ გვიყვარს სოფო ნიჟარაძიდანაც“ ჩანს, რომელსაც ათასობით მოწონება აქვს.

კომენტარი სოფოს ტელეწამყვანმა ნანუკა ჟორჟოლიანმა დაუწერა, რომ ძალიან მოენატრა.

– ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი და შენს ჟღურტულსაც დიდი სიამოვნებით მოვისმენდი, – წერს ნანუკა.

სოფო ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს და, სავარაუდოდ, საქართველოში კიდევ დიდხანს არ დაბრუნდება.

***reitingi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## მსგავსება ნიუტონის კანონსა და პოლიტიკურ ფორმულას შორის



მსახიობი დუტა სხირტლაძე სოციალურ ქსელში ნიუტონის კანონს პოლიტიკასთან აკავშირებს და ამ კავშირს განმარტავს:

– ნიუტონის მეორე კანონი როგორი პოლიტიკური ფორმულაა არა?!

**F=ma**, ანუ ნებისმიერი პოლიტიკური **F** უდრის მასისა და მიმართული აჩქარების ნამრავლს. მაგრამ ამ აჩქარებას თუ შეანელებ, მასის რაოდენობას თუ შეამცირებ, ვექტორული ძალა კატასტროფული სიჩქარით იკლებს. ყოჩაღ ნიუტონს, – წერს სხირტლაძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

***pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ნიკოლოზ რაჭველი — „ძალიან საინტერესო საუბარი გვქონდა“



ნიკოლოზ რაჭველმა სოციალურ ქსელში პატრიარქთან ერთად საპატრიარქოში გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა:

– სტუმრად ვარ ჩემს მონატრებულ უწმინდესთან, ძალიან საინტერესო საუბარი გვქონდა... სამახსოვრო ფოტო ვთხოვე და გადავიღეთ...

***primetimenews.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## რაში დასჭირდა გოგა გველესიანს თმის შეღებვა? — „ჯერჯერობით უსიამოვნება არ შემხვედრია“



მსახიობი გოგა გველესიანი უკვე ათი დღეა, შეღებილი ქერა თმით დადის.

მიზეზი როლია. დავით დოიაშვილმა მაქსიმ გორკის პიესა „ფსკერზე“ დადგა, გოგა კი ლუკას თამაშობს.

– პრემიერა მუსკომედიის თეატრში 11-12 ოქტომბერს გაიმართა. „არა, გარისკვის არ შემშინებია, რადგან იცი, რის გამო გიწევს ამის გაკეთება. თუმცა რამდენი ადამიანიც არის, იმდენი შეხედულებაა... მთავარია, მე პირადად ამის გამო ჯერჯერობით უსიამოვნება არ შემხვედრია. არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, ყველა მეუბნება, როგორ გიხდებაო. ცოტა მიკვირს იმიტომ, რომ ეს ჩემი ბუნებრივი ფერი არ არის, – განმარტა გოგა გველესიანმა.

სპექტაკლი 18-19/25-26 ოქტომბერს და 8-9 ნოემბერს გათამაშდება. გოგას კი, როგორც ამბობს, კიდევ დიდხანს მოუწევს თმის შეღებვა.

***primetimenews.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## როგორ აფასებს თამრიკო ჭოხონელიძე შვილის ცეკვას — „დადარაჯებული ვარ, არ მინდა, რომ თავი შეირცხვინოს“



როგორც მომღერალმა აღნიშნა, პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ბევრი მისი ახლობელი ადამიანი მონაწილეობს.

– რადგან მომეცა საშუალება, მინდა სიმპათიები და პატივისცემა დავაფიქსირო პროექტის მონაწილეების მიმართ. ადამიანები, ვისაც ახლა დავასახელებ ცალ-ცალკე, რომ ყოფილიყვნენ სხვადასხვა სეზონში, რა თქმა უნდა, მათ ვუგულშემატკივრებდი. ერთი ეს არის ჩემი ნათლული ნინი ბადურაშვილი, მეორე ჩემი შვილების უახლოესი მეგობარი ნოდიკო ტატიშვილი და ჩემი შვილი. მის მიმართ განსაკუთრებულად დადარაჯებული ვარ. მე მინდა, რომ მან თავი არ შეირცხვინოს. სულ ვგრძნობდი, როგორ უნდოდა ცეკვა. რადგან მან აისრულა ეს ოცნება, გზა დამილოცნია, – განაცხადა ჭოხონელიძემ



***itv.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. მხ/ფ „... ლურჯა“
2. საუკეთესო ხარისხის ცხვრის მატყლი
3. მოწნფის მაგიდა
4. მომღერალი ... აგილერა
5. ფორტეპიანო, ანუ ...
6. ჯილდოს ფორმა
7. ახალი ქვის ხანა
8. ტენორი ... კარუზო
9. მსახიობი დასტინ ...
10. მონეტების შემგროვებელი
11. სახელმწიფო აფრიკაში
12. მსახიობ ბოცვაძის სახელი
13. ჩრდ. ამერიკული ნიანგი
14. ამომავალი მზის ქვეყანა
15. მომღერალი ... ოსბორნი
16. ყველაზე მტკიცე მინერალი
17. ჩანთოსანი ცხოველი სამხ. ამერიკაში
18. დონ კიხოტის ცხენი
19. ... დე ბალზაკი
20. მოფერებით მიმართვა დისადმი
21. მხ/ფ „...ჭირი მარგებელია“
22. ფილმების სერია ჯეიმს ბონდზე
23. მსახიობი ... სარალიძე
24. ინერტული აირი
25. უნგრელი, ანუ ...
26. ფრანგ. ხურდა ფული
27. ალკოჰოლის საზომი ერთეული
28. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. ლეონიდ ბრონევოის გმირი
29. მომავლის რწმენა
30. მეჩეთის კოშკი
31. შენობის მუყაოს მოდელი
32. სველი, გამოუშრალი ხე
33. რეჟისორი ალფონსო ...
34. შინაგან სნეულებათა ექიმი
35. კაფე ორკესტრითურთ
36. ჩინეთის დიდი ...
37. მსახიობი ... ჯიროტი
38. ნაბიჯი ბალეტში
39. პოეტი ... უკრაინკა
40. სოფოკლეს ტრაგედია
41. პარლამენტის თავმჯდომარე
42. ბემოლი, ბეკარი და ...
43. უკრაინის პარლამენტი
44. ნახატი კედელზე
45. უბანი თბილის-ში
46. ცეცხლსასროლი იარაღი
47. გი ... მოპასანი
48. ბერძენი ზორბა: ენტონი
49. საღამოხანი
50. ღვინის დეგუსტატორი
51. ტაშის ცემა, ანუ ...
52. მსახიობი ... კალკინი
53. დღე ხვალის შემდეგ
54. მსახიობი ... პეჯი
55. ... თათქარიძე
56. ქალაქი ფლორიდის შტატში
57. მდინარე ციმბირში
58. ქალაქი. დაწვეს ჟანა დარკი
59. ლენინის ფვრივი
60. უბანი თბილისში. აგებულია ჰესი
61. მეორე საუზმე ინგლისში
62. ლითონი, ფარავდნენ რკინის საწოლებს
63. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი
64. ხის სახლის მშენებელი
65. დოჩანაშვილი. „კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ...“
66. მხატვარი ... შაგალი
67. „ფაუსტის“ პერსონაჟი
68. ავსული არაბულ ზღაპრებში
69. სისხლნაკლებობა
70. ბალეტი „გედის ...“
71. რეჟისორი ვუდი ...
72. ფოლადის სადნობი ღუმელი
73. კაკლის გული
74. პოეტი ... ტაბიძე
75. ნაწლავის პარაზიტი ჭია
76. ტყის მასივი ციმბირში
77. მიქელანჯელო. „დატირება“
78. მონასტრის წინამძღვარი
79. რაიმე აქცია ორ წელში ერთხელ
80. ბერძნული ცეკვა
81. ბოჭკოვანი მცენარე
82. ქალის საშუალო ხმა
83. სანთლებიანი ნამცხვარი
84. თავის ტყავი თმებთან ერთად
85. ველები მშრალი ჰავის ზონაში
86. ღია საბანაო კოსტიუმი
87. მწერალი ... ჰიუგო
88. რკინის გასახსნი ძელაკი
89. პლანეტის სამოძრაო გზა
90. მხ/ფ „ჯადოქარი“ მარინა ...
91. მსახიობი ტიმოთი ...
92. მსახიობი ჯულია ...
93. დილეგი
94. შარდის ბუშტის ანთება
95. საგალობელი „...-მარია“
96. ფრინველი ეგვიპტურ მითებში
97. მსახიობი კრისტოფერ ...
98. პოლიტიკური ორგანიზაცია
99. საბავშვო ინფექციური დაავადებ.
100. დიკენსი. „ოლივერ ...“
101. ათასი მილიონი
102. სპორტის სახეობა
103. მსახიობი ... პიტი
104. ჩიტმაც თავისი ... იცის
105. კოსმოდრომი ყაზახეთში
106. სახლი უკრაინის ხუტორში
107. მსხვილი მონოპოლისტი
108. 1000მლ, ანუ ...
109. მგლების გუნდი
110. ჰანიბალ ლექტერი: ... ჰოპკინსი
111. საოკეანო სამგზავრო გემი
112. მინდორი
113. ახლადმოჭრილი წვეპლა
114. კეთრი
115. მსახიობი გრეტა ...
116. ავტოფარეხი
117. მოჭადრაკე მიხეილ ...
118. დიდი ოთახი
119. ქალაქი შიდა ქართლში
120. შვიდი დღე
121. ცეკვა (საბა)
122. დაწერილი მისალოცი სიტყვა
123. ... კუზანოვი
124. ესტონეთის დედაქალაქი
125. ღმერთის გამოსახულება
126. ატმოსფერული მდგომარეობა
127. მსახიობი ... კლოუზი
128. კეთილშობილი ლითონი
129. წერტილოვანი პიგმენტი კანზე
130. იაპონური ორთაბრძოლა
131. ათი მცნების ავტორი
132. სველი, ნამიანი
133. პომიდვრის საწებელი
134. დაესმის ზედსართავ სახელს
135. მსახიობი ... სორვინო
136. მსახიობი ... უიზერსპუნი
137. კრილოვი. „... და კრავი“
138. ხელოსნების გაერთიანება
139. ბრაზილიელი ფეხბურთელი
140. ფსიქიური აშლილობა
141. პერსონა ...-გრატა
142. ხაშის სანელებელი

პასუხები: 1. მაგდანას; 2. მერინოსი; 3. მერხი; 4. კრისტინა; 5. პიანინო; 6. ორდენი; 7. ნეოლითი; 8. ენრიკო; 9. ჰოფმანი; 10. ნუმიზმატი; 11. სენეგალი; 12. ზეინაბი; 13. ალიგატორი; 14. იაპონია; 15. ოზი; 16. ალმასი; 17. ოპოსუმი; 18. როსინანტი; 19. ონორე; 20. დაიკო; 21. ზოგი; 22. ბონდიანა; 23. ტრისტან; 24. ნეონი; 25. მადიარი; 26. სუ; 27. გრადუსი; 28. მიულერი; 29. იმედი; 30. მინარეთი; 31. მაკეტი; 32. ნედლი; 33. არაუ; 34. თერაპევტი; 35. რესტორანი; 36. კედელი; 37. მასიმო; 38. პა; 39. ლესია; 40. „ანტიგონე“; 41. სპიკერი; 42. დიეზი; 43. რადა; 44. ფრესკა; 45. ლოჭინი; 46. ვინჩესტერი; 47. დე; 48. კუინი; 49. მწუხრი; 50. სომელიე; 51. აპლოდისმენტი; 52. მაკოლეი; 53. ზეგ; 54. ენ; 55. ლუარსაბ; 56. მაიამი; 57. ირტიში; 58. რუანი; 59. ონო; 60. ავჭალა; 61. ლანჩი; 62. ნიკელი; 63. რაული; 64. ხურო; 65. ლიტერატურა; 66. მარკ; 67. მეფისტოფელი; 68. ჯინი; 69. ანემია; 70. ტბა; 71. ალენი; 72. მარტენი; 73. ნიგოზი; 74. გალაკტიონ; 75. სოლიტერი; 76. ტაიგა; 77. „პიეტა“; 78. იღუმენი; 79. ბიენალე; 80. „სირტაკი“; 81. სელი; 82. ალტი; 83. ტორტი; 84. სკალპი; 85. სტეპი; 86. ბიკინი; 87. ვიქტორ; 88. ქლიბი; 89. ორბიტა; 90. ვლადი; 91. დალტონი; 92. ორმონდი; 93. საკანი; 94. ცისტიტი; 95. ავე; 96. იბისი; 97. რივი; 98. პარტია; 99. ბატონები; 100. ტვისტი; 101. მილიარდი; 102. ფრენბურთი; 103. ბრედ; 104. ბუდე; 105. ბაიკონური; 106. ხატა; 107. ოლიგარქი; 108. ლიტრი; 109. ხროვა; 110. ენტონი; 111. ლაინერი; 112. მდელო; 113. როზგი; 114. ლეპრა; 115. სკაკი; 116. გარაჟი; 117. ტალი; 118. ზალა; 119. კასპი; 120. კვირა; 121. როკვა; 122. ადრესი; 123. ივა; 124. ტალინი; 125. ხატი; 126. ამინდი; 127. გლენ; 128. ოქრო; 129. ხალი; 130. კარატე; 131. მოსე; 132. ნოტიო; 133. ტომატი; 134. როგორი; 135. მირა; 136. რიზ; 137. მგელი; 138. ამქარი; 139. კაკა; 140. ისტერია; 141. ნონ; 142. ნიორი. იკითხება: ემინემი. მერკური. სტინგი.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. სოფელი დუშეთის რაიონში
2. ლომების ოჯახი
3. კუტი-ურიე ჯანი ...
4. შენობა წინებით
5. ავთვისე-ბიანი ხალი
6. ზღვის ქვიშიანი სანაპირო
7. აზრი
8. კოშკი პარიზში
9. სახელმ-წიფო ევროპაში
10. მხატვარი ფერნან ...
11. მსაჯი
12. იტა-ლიელების გმირი ჯუზეპე ...
13. ტბა თბილისში
14. მხატვარი ოგიუსტ ...
15. ქალის შიდა სამოსი
16. კუნძული მალაის არქიპე-ლაგში
17. მცენარე. ილებენ შაქარს
18. კბილის ზედა ნაწილი
19. პატარა ჩიტი
20. დაბა სვანეთში
21. ფრედი მერკურის ანსამბლი
22. კონტი-ნენტი
23. სისხლ-ძარღვი
24. შამფურზე შემწვარი ხორცი
25. ქინქლა
26. ფრინველის რქოვანა პირი
27. კატა ... შესწევდა ძეხვსაო
28. „დათა თუთაშხია“ მედუქნის გოგო
29. ბოსტ-ნეული
30. შემწვარი ხორცი
31. თაფლიანი ნამცხ-ვარი
32. მსახიობი ... როკი
33. სამშე-ნებლო მასალა
34. ქალაქი ინდოეთში
35. თევზის ჯიში
36. ყვავილი
37. მსახ. ... უიზერ-სპუნი
38. მდინარე აფრიკაში
39. ბრინჯაო
40. ჯონათან სვიფტის გოლიათი
41. გოგოლის მოთხრობა
42. ბრონტე. „ჯეინ ...“
43. მწერალი პროსპერ ...
44. მზის ჩასვლა
45. ჩეხეთის დედაქა-ლაქი
46. პოეტი ... ბარათაშ-ვილი
47. „ქეთო და კოტე“ ვაჭარი
48. რუსული ზღაპრის გმირი
49. ქალაქი საფრან-გეთში
50. მდინარე აზიაში
51. კალათ-ბურთელი დენის ...
52. კოვბოის ქამანდი
53. ექს-პრეზი-დენტი ბილ ...
54. მომ-ღერალი ... კარაკლა-იძე
55. მდინარე საფრან-გეთში
56. ვირ-ტუოზული პასაჟი სიმღერაში
57. ისრაელის მკვიდრი ებრაელი
58. ... ბურთი და ... მოედანი
59. „ილიადა“ ქალაქი
60. მსაჯი
61. ამოწვე-რილი ხორბალი
62. ძალების აღდგენა
63. მხ/ფ „ზოლიანი ...“
64. მხატვარი ... შაგალი
65. დირი-ჟორი ოდისეი ...
66. ჩარხი
67. ომის ღმერთი ბერძ. მითებში
68. სიახლე ჩაცმუ-ლობაში
69. ალამი
70. „მორცხვი“ ყვავილი
71. მხ/ფ „ცისკრის ...“
72. ალბანეთის დედაქა-ლაქი
73. მზის სისტემის პლანეტა
74. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი
75. ... კინოტ ლამან-ჩელი
76. მსახიობი ... პაპანოვი
77. მსახიობი ... ვენტურა
78. ღამის ფრინველი
79. ციმბირის წყლული
80. ოპერა „სევი-ლიელი ...“
81. ერთაოზის მამა
82. მსახიობი ჯორჯ ...
83. სოფელზე დიდი დასახლება
84. კლიპ-მეიკერი ... ფოცხიშ-ვილი
85. მსახიობი ... ტაილერი
86. ლომის თათი
87. ძვ. ბერძენი ფილოსო-ფოსი
88. მსახიობი ... ასანტე
89. ბუნების დაცვა
90. ქართველი გლეხის ფეხსაც-მელი
91. დიდი ციგა
92. იგავები „... და დამანა“
93. აღმოსავ-ლური საჭმელი
94. პატარა სასაცილო ამბავი
95. ლეშის მჭამელი ფრინველი
96. წყლის შინაური ფრინველი
97. საბავშვო მატრო-სული კოსტი-უმი
98. კენჭი, ქანი
99. წყლის მოლუსკი
100. მხატვარი სანდრო ...
101. მოსამარ-თლის მოსასხამი
102. ვერ-ცხლის-წყლის ნაერთი ლითონთან
103. მსახ. ... მაკგრე-გორი
104. „ალისფერი იალქნები“ პარსონაჟი
105. კვერცხის თეთრი შიგთავსი
106. სათევზაო ნაქსოვი
107. ოჯახის ქალი ძველ რომში
108. მომ-ღერალი ... კუტუნიო
109. ზამთრის სამოსი
110. „... აიბოლი-ტი“
111. კვამლი
112. კან-ცლერი ოტო ფონ ...
113. ერთ-უჯრედი-ანი ორგანიზ-მი
114. მომთა-ბარე არაბი
115. დათვის ნაშიერი
116. უფრთო ფრინველი
117. ჭრიჭინას ბებია
118. გადა-სარგავი ხე
119. მსახიობი ჰარისონ ...
120. თხის ტყავის ჭურჭელი
121. მეფის მხლებ-ლები
122. მსახიობი ... სტრიპი
123. მწვანე ადგილი უდაბნოში
124. მოკლე კაბა
125. მსახიობი ... კრუზი
126. ის-ტორიული ქალაქი ინდოეთში
127. ქალაქი გერმა-ნიაში
128. ებრა-ელების იმიგრაცია ისრაელში
129. შხამიანი გველი
130. ბოსტ-ნეული
131. ჩოგ-ბურთელი ... სამპრასი
132. ვაქცი-ნაცია
133. ზღვრული ნორმა, რომლის ფარგ-ლებშიც შეიძლება რაიმეს ხარჯვა
134. ლონდონის ცენტრი
135. მომ-ღერალი ... სოსაძე
136. ბილი-არდის ჯოხი
137. მამა-კაცის სასიმღერო ხმა
138. პატარა არხი
139. კაქტუსის სახეობა
140. გამხმარი ხილი
141. დიდი ჩაქუჩი
142. რუმინული ფულის ერთეული
143. სპორტ. შეჯიბ-რების დასაწყისი
144. სიმინდი, ანუ ...
145. მადონა ფილმში
146. ... გათეთრ-დების ყორანი
147. ყვავის ბარტყი
148. ციხე-სიმაგრე. იჯდა აბატი ფარია

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## ლიპოსაქციის მავნებლობის შესახებ



მოდით, ჯერ ასე ვთქვათ: ლიპოსაქციის დადებითი მხარეების შესახებ ის არის ცნობილი, რომ მისი წყალობით, ფიგურის კორექტირება უმოკლეს დროშია შესაძლებელი. არ არის საჭირო არც დიეტები, არც ვარჯიშები – ხანმოკლე პროცედურა და შედეგიც სახეზეა. აი, რაც შეეხება მავნებლობას, როგორ ფიქრობთ, შეუძლია, ლიპოსაქციას, ადამიანს პრობლემები გაუჩინოს? რა თქმა უნდა, შეუძლია! გაფრთხილებას ამის შესახებ ბრაზილიელი სპეციალისტები იძლევიან.

მათი თქმით, პროცედურის შემდეგ, რომელიც სხეულს შესანიშნავ იერს უბრუნებს, ჩვეულებრივ, თეძოებსა და მუცლის არეში ცხიმის ფენები ჩნდება, რომელსაც ვისცერალური ეწოდება. და რითია საშიში ეს ცხიმი? ის „ალყაში აქცევს“ შინაგან ორგანოებს, რასაც სპეციალისტების თქმით, არაერთი პრობლემა შეიძლება მოჰყვეს. კონკრეტულად, იზრდება გულის დაავადებებისა და მეორე ტიპის დიაბეტის გაჩენის რისკი. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ვისცერალური ცხიმების მოშორება მხოლოდ რეგულარული, ძალიან სერიოზული ვარჯიშების დახმარებით შეიძლება.

აღნიშნულ დასკვნამდე ბრაზილიელი მკვლევარები მას შემდეგ მივიდნენ, რაც ათობით ქალის მდგომარეობა შეისწავლეს, რომლებსაც ფიგურის კორექციისთვის ლიპოსაქციის პროცედურა ჰქონდათ ჩატარებული და არც თუ აქტიურ ცხოვრების წესს მისდევდნენ.

სპეციალისტებმა ისინი ორ ჯგუფად დაყვეს: ვინც კვირაში მინიმუმ 3-ჯერ მაინც ვარჯიშობდა და ვინც ფიზკულტურას საერთოდ არ სწყალობდა.

პირველი ჯგუფის რესპონდენტებს პროცედურის ჩატარებიდან 30 დღის შემდეგ ვისცერალური ცხიმის ფენა 10 პროცენტით გაეზარდათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაიზარდა საშიში დაავადებების ალბათობაც, რადგან ქალები ლიპოსაქციის შემდეგ სხეულს არ იტვირთავდნენ.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ლიპოსაქციის შემდეგ, უბრალოდ, აუცილებელია ვარჯიშები და ამ რჩევის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საკმაოდ სერიოზული პრობლემების გაჩენის რისკი ძალიან მაღალია.

***woman.ru***

## ბრიტანელი ქალი შინაური ცხოველებისთვის ექსკლუზიურ ქორწილებს აწყობს



კი, ბატონო, გეთანხმებით, რომ ცხოველებისთვის ქორწილების, მით უმეტეს, ექსკლუზიურის, მოწყობა მსუბუქად რომ ვთქვათ, ძალიან უცნაური რამეა, მაგრამ არ გაინტერესებთ, რამდენს იხდიან ლონისძიებებში ძაღლებისა და კატების პატრონები? გადაირევით, რომ გითხრათ! მაინც არ დაგიმალოთ? კი ბატონო - თითო ასეთი „ექსკლუზიური ქორწილი“ საშუალოდ... 20 ათასი ფუნტი სტერლინგი ჯდება!..

55 წლის ენ კლარკი საკუთარ თავს „ცხოველების რეგისტრატორს“ უწოდებს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შინაური ძაღლებისა და კატების ქორწილების რეგისტრატორს.

თავისი უჩვეულო მომსახურების რეკლამირება ინტერნეტის დახმარებით, კლარკმა 4 წლის წინათ დაიწყო. თავდაპირველად მას, ძირითადად, მხოლოდ დასცინოდნენ, თუმცა სულ მალე „ცხოველების რეგისტრატორმა“ არნახულ პოპულარობას მიაღწია და კლიენტების მთელი არმია მოიძია.

ცნობილია, რომ ერთ-ერთმა ანონიმმა კლიენტმა ენ კლარკს საყვარელი ძაღლის ქორწილისთვის 32 ათასი ფუნტიც კი გადაუხადა. სხვა ყველაფერთან ერთად, ქორწილში თურმე, 3-მეტრიანი შოკოლადის ფანტანიც ჰქონიათ.

***etotupo.ru***

## დამაბრმავებელი ღიმილი — უკვე პირდაპირი გაგებით



თქვენი ღიმილი მწვანე ფერს ასხივებს? ასეთ შემთხვევაში, კბილები ან რადიოაქტიური კბილის პასტით გაიხეხეთ, ან იაპონიაში წამოწყებული სარეკლამო კამპანიის მონაწილე ხართ.

იმედია, სიმართლეს ჩვენი მეორე მოსაზრება შეესაბამება, მით უმეტეს, რომ, როგორც გავიგეთ, სიახლემ ძალიან დიდი პოპულარობა ჰპოვა მედიასა და ინტერნეტში.

„შუქდიოდური ღიმილის“ ავტორები დიზაინერები მოტოი იშიბედი და დიატო მანაბე არიან. მათ შექმნეს პატარა მაგნიტიანი შუქდიოდები, რომელიც კბილზე მაგრდება. მოწყობილობას შეუძლია, რამდენიმე ფერად ანათოს, რაც პულტის დახმარებით რეგულირდება და როგორც ამბობენ, სიბნელეში ძალიან ეფექტური დასანახია.

***gazeta.ua***

## ადამიანი საკვების მიღებიდან 3 საათში სუქდება



როგორც აღმოჩნდა, არცთუ დიდი დროა იმისთვის საჭირო, რომ ადამიანმა ზედმეტი კილოგრამები აკრიფოს.

სპეციალისტების განმარტებით, ადამიანის ცხიმოვანი ფენების ცვლილება საკვების მიღებიდან 3 საათში იწყება.

კვლევებმა აჩვენა, რომ პირველ რიგში, ცხიმები წელის მიდამოებში გროვდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი აგრძელებს დიდი რაოდენობით საკვების მიღებას, ცხიმები უკვე სხეულის სხვა ნაწილებშიც ინაცვლებს.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ცხიმი სისხლის ნაკადში საკვების მიღებიდან უკვე ერთ საათში ხვდება და მისი უდიდესი ნაწილი ცხიმოვან ქსოვილებს ემატება.

სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ წელი ცხიმების შენახვის დროებითი ადგილია და იქიდან მისი მოშორება გაცილებით ადვილია, ვიდრე თეძოებიდან ან ბარძაყებიდან.

***kazakh-zerno.kz***

## მეცნიერები: წყალი კვებაზე დიდ გავლენას ახდენს



– რა გავლენას ახდენს წყალი და ბოსტნეული ადამიანის კვების რაციონზე? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის მოძიება სცადეს ამერიკელმა მეცნიერებმა და საკმაოდ საინტერესო შედეგებიც მიიღეს.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკის ადამიანებმა: 3-5 წლის ბავშვებმა, 19-23 წლის ახალგაზრდებმა და პენსიონერებმა. რამდენიმე დღის მანძილზე მოხალისეებს სხვადასხვა მენიუს სთავაზობდნენ, რომელშიც ბოსტნეული და სასმელები შედიოდა.

ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლამდელი ბავშვები, რომლებიც სტაფილოსა და ტკბილ წიწაკას მიირთმევდნენ, უპირატესობას ანიჭებდნენ ჩვეულებრივ წყალს, ვიდრე ტკბილ სასმელებს. მათზე უფროსებისთვის კი სასმელი წყალი ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა.

ყველაზე მთავარი დასკვნა, რომელიც მეცნიერებმა ამ კვლევიდან გამოიტანეს, არის ის, რომ კალორიული საკვებისა და ტკბილი სასმელების რეგულარული მიღება ადამიანის ორგანიზმის გაუწყლოებას და როგორც შედეგი, გასუქებას, შაქრიან დიაბეტსა და შესაბამისად, ძალიან დიდ პრობლემებს იწვევს.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, მიჩიგანის უნივერსიტეტის სპეციალისტები აპირებენ, ჩვეულებრივი სასმელი წყლის პროპაგანდის არნახული მასშტაბების მქონე კამპანია წამოიწყონ.

***wordscience.org***



## მღვდლის დაჯარიმების მიზეზი ხმამაღალი... ქადაგება გახდა

წარმოიდგენდით ოდესმე, რომ მღვდელს მხოლოდ იმის გამო დააჯარიმებდნენ 5 ათასი ევროთი, რომ „ბედავს“ და ზედმეტად ხმამაღლა გადაქებს?!

როგორც ირკვევა, ეს დაუჯერებელი ფაქტი ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში დაფიქსირდა, სადაც ადგილობრივ კათოლიკე მოძღვარს სასამართლოში უჩივლეს და მისგან დილის ლოცვების ხმადაბლა წარმართვა მოითხოვეს, რაც მოსამართლემ სამართლიან პრეტენზიად მიიჩნია, თუმცა გასაგები მიზეზების გამო, მღვდელმა მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა და ვერც ზარების რეკვას დაუწია ხმა და ვერც ქადაგების ხმა შეამცირა, რომელიც დინამიკებში ისმოდა.

ამის გამო, სასულიერო პირს 5 ათასი ევრო უკვე გადაახდევინეს და როგორც მოსამართლე იმუქრება, პირობის კიდევ ერთხელ დარღვევის შემთხვევაში, ჯარიმა გაორმაგდება.

***rokf.ru***

## დიაბეტს ნანოტექნოლოგიებით შეუტევენ



შეუტევენ ერთია, მაგრამ მთავარი ხომ შედეგია? ჰოდა, ჰარვარდელებს თუ დავუჯერებთ, მათ მიერ მოგონილ ინოვაციურ მეთოდს სასურველი ეფექტი აუცილებლად მოჰყვება. საქმე კი აი, რაში ყოფილა:

ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიონიკის ინსტიტუტისა და ბოსტონის ბავშვთა ჰოსპიტალის სპეციალისტებმა პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის ახალი მეთოდი გამოიგონეს.

აღმოჩნდა, რომ შემუშავებულია ნანონაწილაკები, რომლებიც იმგვარად არიან დაპროგრამებულები, რომ შეუძლიათ პრეპარატები კონკრეტულად ერთ ადგილას – კუჭქვეშა ჯირკვლამდე მიიტანონ.

მეცნიერების განმარტებით, მათ შეძლეს, ნანონაწილაკებზე პეპტიდის მიერთება, რომელიც ცნობს კუჭქვეშას კაპილარული სისხლძარღვების განყოფილებებს, რომლებიც თავის მხრივ, ინსულინის სეკრეციაზე აგებენ პასუხს.

ამ ახალი მეთოდის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრივილეგია ის ყოფილა, რომ თურმე, ნანონაწილაკები ინარჩუნებენ წამლის მთლიანობას და ამდენად, პაციენტი პრეპარატის ზუსტად იმ დოზას იღებს, რომელიც მკურნალობისთვისაა საჭირო.

თუ გახსოვთ, გარკვეული პერიოდის წინ ისიც გახდა ცნობილი, რომ დიაბეტით დაავადებულებისთვის ინსულინის ნემსის ალტერნატივის შექმნაზეც მიდის მუშაობა, რათა პაციენტები ჩხვლეტით გამოწვეული უსიამოვნო შეგრძნებებისგან ერთხელ და სამუდამოდ დაასვენონ.

რეალური შედეგების ნახვა როდის იქნება შესაძლებელი, ამაზე, სამწუხაროდ, რამის თქმა გაგვიჭირდება.

***pronowosti.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



საფეხბურთო გუნდის მწვრთნელს ინტერვიუს დროს ეკითხებიან:

– ხვალ საკვანძო მატჩი გაქვთ, ფეხბურთელთა ნახევარი კი ფეხის მოტეხილობით საავადმყოფოში წევს. რა მოხდა ასეთი?

– მოკლედ, თამაშის წინ ცოტა გართობა და დასვენება გადავწყვიტეთ და გასართობ კომპლექსში წავედით. ჰოდა, ვინ იფიქრებდა, რომ ეს იდიოტები ბოულინგს ცხოვრებაში პირველად თამაშობდნენ?!

*****

– მოდი, კოტეს გავუჩალიჩოთ და ჭიქაში ლიმონათის ნაცვლად არაყი ჩავუსხათ!

– აუ, მოდით, ეგრე მე გამიჩალიჩეთ, რა!..

*****

ინდიელების ბელადი პაპუასების ბელადს შეხვდა. საუბარს ეს უკანასკნელი იწყებს:

– როგორ გაქვს პედერასტების საკითხი მოგვარებული?

– ძალიან მარტივად: არ მყავს პედერასტები და კითხვებიც არ არის. შენ?

– უჰ, ძალიან ცუდად: რამდენიც არ უნდა ვუხსნა ჩემს ხალხს, რომ პედერასტებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორებიც ჩვენ ყველა, მაინც არ ჭამენ!..

*****

ცოლი ქმარს გაექცა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ უკან დაბრუნდა. წუხს, ტირის, პატიებას ითხოვს გაქცევის გამო.

ქმარი:

– რა თქმა უნდა, სახლიდან გაქცევას გაპატიებ, მაგრამ დაბრუნებას – ვერასოდეს!..

*****

– თუ თქვენს ცოლს თავი სტკივა, სცადეთ და შუბლზე ახალი იტალიური ჩექმები მიადეთ. მერწმუნეთ, გამოცდილი და ეფექტური საშუალებაა!..

*****



ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში ოპერაცია უნდა ჩატარდეს.

– ექიმო, ფეხს ხომ არ დავკარგავ?

– ეგ იმაზე იქნება დამოკიდებული, ჩემო კარგო, სად შეინახავთ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## დიაბეტიანებისთვის ცხიმი... სასარგებლოა?



სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს, რთული დასაჯერებელია ეს ამბავი და სიახლემ ძალიან გაგვაკვირვა, თუმცა სწორედ ასე ამბობენ შვედი მეცნიერები ლინკოპინგის უნივერსიტეტიდან.

მათი მტკიცებით, ცხიმების მაღალი დონე და ნახშირწყლების შეზღუდვა – ის არის, რაც სისხლში შაქრის მაჩვენებლის შემცირებისთვისაა აუცილებელი.

მოსაზრება კვლევის დახმარებითაც დადასტურდა, რომელშიც შაქრიანი დიაბეტის მქონე ადამიანებმა მიიღეს მონაწილეობა.

დაკვირვება ორი ჯგუფის მონაწილეებზე მიმდინარეობდა – ერთში შემავალი მოხალისეები იცავდნენ დიეტას, რომელშიც ცხიმიანი, მაგრამ ნახშირწყლების დაბალი მაჩვენებლის მქონე კერძები შედიოდა, მეორე ჯგუფის წევრები კი ილებდნენ საკვებს ცხიმის გარეშე, თუმცა ნახშირწყლების რაოდენობა არ კონტროლდებოდა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, პირველ შემთხვევაში მეცნიერებმა გლიკემიური ინდექსის გაუმჯობესება აღმოაჩინეს. შაქრის დონე 58,5-დან 53,7-მდე შემცირდა.

კვლევის ავტორების მტკიცებით, შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია და მისი გათვალისწინება ღირს, თუმცა იქვე იმასაც ამბობენ, რომ ექიმის გარეშე რაციონის შედგენა არა თუ დიაბეტიანებისთვის, არამედ ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც კი არ შეიძლება.

*dr20.ru*

## შაკიკის წინააღმდეგ... ბოტოქსი?



გაგიკვირდებათ და დიდ ბრიტანეთში ოფიციალურად აპირებენ ბოტოქსის, როგორც ქრონიკული შაკიკის მკურნალობის საშუალების დამტკიცებას. ფაქტია, ბოტოქსს არა მხოლოდ გამაახალგაზრდავებელი, არამედ არანაკლებ უსიამოვნებებთან ბრძოლის უნარი ჰქონია.

დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტის ინფორმაციით, მოხდება ბოტოქსის ინექციების რეკომენდირება მათთვის, ვინც ქრონიკულ შაკიკს მკურნალობს. კერძოდ, პრეპარატის გამოყენება მოხდება მას შემდეგ, რაც სხვა საშუალებები პაციენტებს სასურველ შედეგს არ მისცემს.

სტატისტიკის თანახმად, ქრონიკული თავის ტკივილებით მთელ მსოფლიოში უფროსი ასაკის ადამიანების 1,6 პროცენტი იტანჯება.

ინგლისის ხელისუფლება იმაზეც კი მიდის, რომ შეიძინოს ბოტოქსის მაქსიმალური რაოდენობა, რათა შემდეგ მასზე ხელი ნებისმიერ მსურველს თავისუფლად მიუწვდებოდეს.

*myjane.ru*



## პროდუქტები, რომლებიც თრომბებისგან დაგიცავთ

რამდენადაც ცნობილია, თრომბების გაჩენა ინფარქტებისა და ინსულტების ერთ-ერთი მთავარი პროვოკატორია. ამდენად, ბრძოლა ამ უსიამოვნების წინააღმდეგ ძალიან მნიშვნელოვანია.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომელი პროდუქტები დაეხმარება ადამიანს, რათა თრომბებისთვის წინააღმდეგობის გაწევა მოხერხდეს.

მშველელი პროდუქტების ჩამოთვლისას, სპეციალისტები პირველ რიგში, ასახელებენ ვაშლს, ფორთოხალს, ხახვს, მწვანე და შავ ჩაის.

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის ექსპერტების განმარტებით, ნახსენები პროდუქტების სამკურნალო თვისებებს რუტინი განსაზღვრავს. ეს არის ნივთიერება, რომელიც ფლავონოიდებს განეკუთვნება და სისხლძარღვების კედლებს აძლიერებს. ასევე, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ რუტინი ბლოკავს იმ ფერმენტების მოქმედებას, რომლებიც თრომბების წარმოქმნას იწვევენ.

საერთო ჯამში, მეცნიერებმა 500-ზე მეტი ნივთიერება შეისწავლეს, რომლებშიც რუტინი უპირობო ლიდერად დასახელდა – ის არტერიებსა და ძარღვებს უპრეცედენტო დახმარებას უწევს.

*pronowosti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**17 ოქტომბერი:** ოჯახის წევრებს და ახლობლებს დღეს თქვენთან მეტი დროის გატარების სურვილი იქნებათ. უყურადღებოდ ნუ დატოვებთ.

**კურო 22.04-21.05**
**17 ოქტომბერი:** რაღაც საქმეში დღეს დიდ გამარჯვებას მოიპოვებთ, მაგრამ მისი აღნიშვნის საშუალება არ მოგეცემათ, უნდა მოითმინოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**17 ოქტომბერი:** ამ დღემ შესაძლოა, არაერთი სიურპრიზი მოგიტანოთ, მათთვის წინასწარ მზადება უაზრობა იქნება. ასე რომ, ლოდინი მოგიწევთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**17 ოქტომბერი:** დღეს არაერთ საკითხზე საკუთარ პოზიციას კატეგორიულად დააფიქსირებთ. მნიშვნელობა არ აქვს, მოგისმენენ თუ არა, მთავარია, მართალი იქნებით.

**ლომი 23.07-22.08**
**17 ოქტომბერი:** დღეს ზედმეტები არ ილაპარაკოთ, ვიღაცა ჩასაფრებულია, ყურადღებით გისმენთ და შეიძლება თქვენი ნათქვამი თქვენს წინააღმდეგვე გამოიყენონ.

**ქალწული 23.08-22.09**
**17 ოქტომბერი:** მიმდინარე ცვლილებები ან არ შეგეხებათ, ან თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

**სასწორი 23.09-22.10**
**17 ოქტომბერი:** დღეს შეიძლება სპონტანური გადაწყვეტილებები მიიღოთ, მაგრამ უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე წინასწარ გააზრებული ქმედებები.

**მორიელი 23.10-21.11**
**17 ოქტომბერი:** რაც დღეს ენაზე მოგადგებათ, გაუაზრებლად არ წარმოთქვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას არასასიამოვნო შედეგები მოჰყვება.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**17 ოქტომბერი:** დღეს არავითარი საჭიროება არ იქნება, რაიმე საიდუმლო ხმამაღლა თქვათ, მაგრამ თუ ამის გაკეთება თავად გსურთ, მაინც მოცდა ჯობია, ჯერ ამის დრო არ არის.

**თხის რქა 22.12-19.01**
**17 ოქტომბერი:** დღეს, როგორც არასდროს, სასურველია, კეთილგანწყობილი იყოთ და ხშირად გაიღიმოთ. შეეცადეთ, იქნებ გამოგივიდეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**17 ოქტომბერი:** თუ მაღაზიებში სიარული გიყვართ, ვინმე აუცილებლად გაიყოლეთ, რადგან შეიძლება წინდაუხედაობის გამო უაზრო ხარჯები გასწიოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**17 ოქტომბერი:** დიდი ალბათობით, ეს დღე პრობლემების გარეშე ჩაივლის და რამდენიმე სასიხარულო ამბავსაც გაიგებთ. ამის მიუხედავად, მოვალეობების შესრულება მოგიწევთ.

## მეცნიერებმა ყავის სასიკვდილო დოზა განსაზღვრეს



იმედია, ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება ამით ყავის ავკარგიანობაზე საუბარი, რადგან გაიგებს, ბოლოს და ბოლოს, ყველა, ყავის რა რაოდენობაა საშიში.

როგორც ირკვევა, გერმანელმა მეცნიერებმა ყავის სასიკვდილო დოზა დაასახელეს. მათი თქმით, სასიკვდილოდ სახიფათოა 10 გრამი კოფეინი, ერთი ფინჯანი მაგარი ყავა კი დაახლოებით 80 მილიგრამს შეიცავს. ამდენად, ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია, საშიშ ზღვარს მაშინ მიუახლოვდეს, როცა 10-დან 31 ლიტრამდე ყავას დალევს.

ამის მიუხედავად, კოფეინის დოზის გადაჭარბებისგან გარდაცვალების შემთხვევები იშვიათი, მაგრამ რეგულარულია. ძირითადად, ეს ხდება მაშინ, როცა ადამიანს ქრონიკული დაავადებები აწუხებს. გარდა ამისა, ზოგჯერ ფატალურ შედეგებს იწვევს არა სასმელი, არამედ კონცენტრირებული კოფეინი. მაგალითად, 2010 წლის ზაფხულის ბოლოს 23 წლის ბრიტანელი წვეულებაზე იმის გამო გარდაიცვალა, რომ ორი კოვზი კონცენტრირებული კოფეინი ჩაყლაპა და ენერგეტიკული სასმელი დააყოლა. 2006 წლის ნოემბერში კი 19 წლის ამერიკელი მოსწავლის სიკვდილის მიზეზი 2 გრამი სუფთა კოფეინის დალევა გახდა, რომელიც მატონიზებელ აბებად იყო დამზადებული.

*ua-today.com*

## დასვენების დღეებში გამოძინება სასიამოვნოა, თუმცა სახიფათო



ჰო, სახიფათოა იმდენად, რამდენადაც შეიძლება გასუქება გამოიწვიოს.

სიმართლე გითხრათ, ძალიან გვეწყინა ამ ამბის გაგება, რადგან გასუქების ისედაც ძალიან ბევრი მეთოდი არსებობს, ახლა ძილიც არ დამატებულიყო, თუმცა რას ვიზამთ...

მიუნხენის სამედიცინო ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტები განმარტავენ, რომ ყოველ ერთსაათიან სხვაობას სამუშაო და დასვენების დღეებს შორის, გასუქების რისკის გაზრდა მთელი 33 პროცენტით შეუძლია.

პროფესორმა ტილ რენებრგმა და მისმა გუნდმა დაკვირვება 65 ათას ადამიანზე აწარმოა და აღმოაჩინა, რომ, ვისაც ყველაზე დიდი სხვაობა ჰქონდა სამუშაო და დასვენების დღეების ძილს შორის, განსაკუთრებით გამორჩეულები იყვნენ სხეულის წონის მიხედვითაც. გარდა ამისა, ამ ადამიანებში შეინიშნებოდა მეტაბოლიზმის შეფერხება, რაც წონაში დაკლების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ხელის შემშლელი ფაქტორი გახლავთ.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ორი პროფესორი პარკში სკამზეა ჩამომჯდარი. ერთი ამბობს:

– მართლაც რომ ადამიანი გასაოცრად უცნაური არსებაა!

– რატომ ფიქრობთ ასე, კოლეგა?

– აი, მისმინეთ: საკმარისია, ნებისმიერ ადამიანს უთხრათ, რომ ზეცაში 956743287693217 6978 ვარსკვლავიაო, რომ მაშინვე დაიჯერებს და არ შეამოწმებს. მაგრამ საკმარისია დააწერო: „მოერიდეთ! შეღებილია“, რომ აუცილებლად მივა და თითს გაუსვამს!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ზანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მ-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 05.15